დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია

წევრები:

მაკა მამფორია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხათუნა დუგლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე ჭელიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სალომე ასათიანი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ჩიტაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო საღარაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**248053975**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი თხილვანა**
ფაქტობრივი მისამართი	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ლი ქუჩა I შესახვევი №9
საფოსტო ინდექსი	**6500**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**skolebi.emis.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**tkhilvani@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 25 თებერვლის N-6 26 0000219470 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24 და 25 მარტი, 2026 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ლი ქუჩა I შესახვევი №9 ერთი შენობა
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ლი ქუჩა I შესახვევი №9 ერთი შენობა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო თხილვანა 1-ლი ქუჩა I შესახვევი №9 ერთი შენობა

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, **სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლაში 2026 წლის 24 და 25 მარტს** განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, შეთანხმდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას.

ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შეისწავლეს სკოლის მატერიალური რესურსი და სასწავლო გარემო. საგნობრივ ექსპერტები ონლაინ გაესაუბრნენ პედაგოგებს და მოიპოვეს საჭირო ინფორმაცია საგნობრივ პროგრამებთან დაკავშირებით. ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა, სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პერიოდში გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: **-- 150 --**	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*ხარვეზი*
.		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის ექთნის და საგნების: ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის, "მე და საზოგადოება", "მოქალაქეობა", "სპორტის და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური კადრების*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

		დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 2026 წლის 23 დეკემბრამდე.*
ინდიკატორი 3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (მარტი, 2026 - მარტი, 2027) უზრუნველყოს სათანადო საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება, სადაც მოსარგებლედ აღინიშნება სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა.*
ინდიკატორი 3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, (მარტი,2026 - მარტი, 2028) სწავლის ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ყველა საერთო სარგებლობის სივრცის ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
*ინდიკატორი **N** 2.2.2.4.*	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის უზრუნველყოს საგნების:*

	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის და "მე და საზოგადოება" კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საბაზო საფეხურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.2.3.	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საბაზო საფეხურისთვის უზრუნველყოს ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, "მოქალაქეობა" და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.*

ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საშუალო საფეხურისთვის უზრუნველყოს „მოქალაქეობა", "სპორტი" და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.*

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	*სკოლას მიეცა რჩევა, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკურ უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	*სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.*
ინდიკატორი N.3.5.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	*ვინაიდან, სკოლის ბიბლიოთეკარი, ასევე არის მასწავლებელი, და როგორც მასწავლებელს აქვს 18 საათიანი კვირეული დატვირთვა, სასურველია, შეადგინოს და*

		მოსწავლეებს გააცნოს სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის განრიგი.
ინდიკატორი N.3.7.1.1.	სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება	*სასურველია, სკოლის ბიუჯეტის კორექტირებისას გათვალისწინებული იქნას ხარჯები მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებისთვის.*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)*	*რჩევა*
ინდიკატორი N.2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	*სასურველია, ფიზიკურ აღზრდაში I-II კლასში სასწავლო პროცესში აღნიშნული თემის, გასართობი თამაშები მძლეოსნობის და ტანვარჯიშის ელემენტებით, ჩანაცვლება სხვა თემით, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი უნარების განვითარებას და თემატურ მრავალფეროვნებას. ისეთი აქტივობების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს მანიპულაციური უნარების, ასევე კოორდინაციული და გუნდური მოქმედებების მრავალმხრივ განვითარებას . ასევე III კლასში თემების გამრავალფეროვნება დამატებითი ფიზიკური აქტივობებისა და სპორტული მიმართულებების ინტეგრირებით. ზემოაღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს კურიკულუმის მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულად ჩამოყალიბებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების უფრო სრულყოფილ მხარდაჭერას.* *-სასურველია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის კურიკულუმი მოიცავდეს წლიურ სასწავლო პროგრამას, დაემატოს სასწავლო თემები და აისახოს მისი შესწავლის გზა. ბუნებისმეტყველებაში II-III-IV კლასში ჩასწორდეს სასწავლო თემები სტანდარტის შესაბამისად. საგან მე და საზოგადოებაში მითითებულ იქნას სასწავლო საკითხები .*

ინდიკატორი N.2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*სასურველია, საგან "კომპიუტერული მეცნიერებებისთვის" მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სამიზნე ცნების გრაფაში „კომპიუტერის აგებულება" ნაცვლად ეწეროს სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები". მოცემულ შემთხვევაში თემა, საკითხი, დავალების იდეა შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირებაა არასწორი. სასურველია, სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.* სასურველია, კურიკულუმის ჩარჩოში ცალკე იყოს მიმართულების გრაფა. სასურველია, *დაწყებით საფეხურზე სპორტის კურიკულუმებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პრინციპების გაცნობიერების მიზნით დაინერგოს ისეთი თემების სწავლება როგორიცაა, ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, მავნე ჩვევები და სხვა.* *სასურველია, ქართულ ენასა და ლიტერატურაში III -IV კლასის კურიკულუმებში გაიწეროს სამიზნე ცნებები და საკითხები. ასევე I კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაიწეროს სასწავლო მიზნები და მიზნის მიღწევის გზა.* *საურველია, უცხური ენების სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული რომ გახდეს კურიკულემებში სასურველია დაემატოს ქვეცნებები და ქვესაკითხები, რათა განისაზღვროს თუ როგორ უკავშირდება ძირითადი სამიზნე ცნება სხვა უნარებსა და ცოდნას.* *ასევე, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს შუალედური მიზნის მისაღწევი სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი აქტივობა, რომელიც იძლევა ცოდნის ტრანსფერის, სამიზნე ცნებათა*

		დაკავშირების და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის საშუალებას.
ინდიკატორი N.2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*I, II, III, IV, V კლასის მუსიკის კურიკულუმში, სასურველია რესურსების შესაბამის სვეტში მიეთითოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოც და თემის შესაბამისი გვერდები.* *სასურველია, ქართული ენისა და ლიტერატურის I-II კლასში შეიტანონ ელ. რესურსები.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*სასურველია, საგან "კომპიუტერული მეცნიერებებისთვის" განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი იყოს კონკრეტულად, რომელიც დაეფუძნება სამიზნე ცნებებსა და სწავლის შედეგებს, კრიტერიუმები იყოს მკაფიო და კონკრეტული, თითოეულ კრიტერიუმს ჰქონდეს შესრულების დონეები, მოიცავდეს უკუკავშირის სივრცეს, იყოს ორიენტირებული მოსწავლის პროგრესზე.* *სასურველია, საგანში "ესთეტიკური აღზრდა", შეფასების რუბრიკები გამომდინარეობდეს კონკრეტული თემისგან და გაწერილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება შეაფასოს მოსწავლის პროგრესი და მისი ცონდის დონე.* *სასურველია, დაწყებით საფეხურზე შეფასებების რუბრიკები დაიხვეწოს ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მოერგოს კონკრეტული საკითხს და დავალებას. შეფასდეს ამ დავალებაში წარმოდგენილი მოთხოვნები.*
ინდიკატორი N.2.2.1.3.	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	*სასურველია, დაწყებითი საფეხურისთვის, შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის გასაზრდელად, რუბრიკები გახდეს კოკნრეტული, გრძელვადიან ცნებასა და შერჩეულ საკითხზე მორგებული.*

ინდიკატორი N.2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*-სასურველია, უცხოური ენის სწავლების პროცესში რესურსების გამოყენება გახდეს უფრო მრავალფეროვანი და ინტერაქტიული. რესურსების კომბინაცია ქმნის ბალანსს სტრუქტურირებულ სწავლებასა და რეალურ ენობრივ გამოცდილებას შორის. მაგალითად, დაემატოს უფრო მეტი ციფრული პლატფორმები, რომელთა გამოყენება გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციას და უზრუნველყოფს კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.* *- სასურველია, დაწყებითი კლასების კურიკულუმში აისახოს მრავალფეროვანი რესურსი, ელ-რესურსები, გრაფიკული მაორგანიზებლები, დამხმარე სახელმძღვანელოები*
ინდიკატორი N.2.2.2.2.	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	*სასურველია, მითითებული დამხმარე სახელმძღვანელოები, რომელთა ვალიდურობა შეფასდება კათედრაზე, დამოწმდეს შესაბამისი ოქმით.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	***რჩევა***
ინდიკატორი N.2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*სასურველია, საბაზო საფეხურებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმს დაემატოს მძლეოსნობის თემა, რომელიც მოიცავს სირბილის, ხტომისა და ტყორცნის ელემენტებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების სისტემურ განვითარებას.* სასურველია, X კლასში შესასრულებლად წარმოდგენილი 3 თემის ნაცვლად, დამუშავდეს ორი თემა და კურიკულუმიც გასწორდეს. (იხ. ინდიკატორის აღწერა) *საურველია, უცხური ენების* სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული რომ გახდეს კურიკულემებში სასურველია დაემატოს ქვეცნებები და ქვესაკითხები, რათა განისაზღვროს თუ როგორ

		უკავშირდება ძირითადი სამიზნე ცნება სხვა უნარებსა და ცოდნას. ასევე, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს შუალედური მიზნის მისაღწევი სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი აქტივობა, რომელიც იძლევა ცოდნის ტრანსფერის, სამიზნე ცნებათა დაკავშირების და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის საშუალებას.
ინდიკატორი N.2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების რესურსების ბანკის პერიოდული განახლება აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური კვლევებით.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*სასურველია, საგან "უცხოური ენის" შემაჯამებელი დავალების რუბრიკები იყოს უფრო დეტალური და ინფორმაციული, შეესაბამებოდეს კურიკულუმში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებს და თანხვედრაში იყოს სტანდარტიდან გამომდინარე საფეხურის კლასებისათვის შესაბამის თემებთან და საკითხებთან.* *შეფასების რუბრიკებით უნდა მოხდეს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.*
ინდიკატორი N.2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*სასურველია, უცხოური ენის სწავლების პროცესში რესურსების გამოყენება გახდეს უფრო მრავალფეროვანი და ინტერაქტიული. რესურსების კომბინაცია ქმნის ბალანსს სტრუქტურირებულ სწავლებასა და რეალურ ენობრივ გამოცდილებას შორის. მაგალითად, დაემატოს უფრო მეტი ციფრული პლატფორმები, რომელთა გამოყენება გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციას და უზრუნველყოფს კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.*
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	*რჩევა*

	(ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	
ინდიკატორი N.2.1.2.2.	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	*სასურველია, საშუალო საფეხურებზე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმს დაემატოს მძლეოსნობის თემა, რომელიც მოიცავს სირბილის, ხტომისა და ტყორცნის ელემენტებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების სისტემურ განვითარებას.* *საურველია, უცხური ენების სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული რომ გახდეს კურიკულემებში სასურველია დაემატოს ქვეცნებები და ქვესაკითხები, რათა განისაზღვროს თუ როგორ უკავშირდება ძირითადი სამიზნე ცნება სხვა უნარებსა და ცოდნას.* *ასევე, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს შუალედური მიზნის მისაღწევი სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი აქტივობა, რომელიც იძლევა ცოდნის ტრანსფერის, სამიზნე ცნებათა დაკავშირების და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის საშუალებას.*
ინდიკატორი N.2.1.2.3.	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	*სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების რესურსების ბანკის პერიოდული განახლება აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური კვლევებით.*
ინდიკატორი N.2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	*სასურველია, საგან "უცხოური ენის" შემაჯამებელი დავალების რუბრიკები იყოს უფრო დეტალური და ინფორმაციული, შეესაბამებოდეს კურიკულუმში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებს და თანხვედრაში იყოს სტანდარტიდან გამომდინარე საფეხურის კლასებისათვის შესაბამის თემებთან და საკითხებთან.*

		შეფასების რუბრიკებით უნდა მოხდეს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად.
ინდიკატორი N.2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	*-სასურველია, უცხოური ენის სწავლების პროცესში რესურსების გამოყენება გახდეს უფრო მრავალფეროვანი და ინტერაქტიული რესურსების კომბინაცია ქმნის ბალანსს სტრუქტურირებულ სწავლებასა და რეალურ ენობრივ გამოცდილებას შორის. მაგალითად, დაემატოს უფრო მეტი ციფრული პლატფორმები, რომელთა გამოყენება გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციას და უზრუნველყოფს კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიანად გამოყენებას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ, არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად, გამოაგზავნა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განსახორციელებელი აქტივობები, განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისია გლობალური და ეროვნული ღირებულებების დამცველი მოქალაქეების აღზრდაა. საკუთარი ხედვით კი დაწესებულება გეგმავს ინოვაციური და ტრადიციული სწავლების მეთოდებით, სტრატეგიებითა და მიდგომებით მოსწავლეთა აღჭურვას 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით, რომლებიც შეძლებენ თავის დამკვიდრებას როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიო შრომის ბაზარზე. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლა საკუთარი მისიით მიზნად ისახავს მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მიცემას ჯანსაღ, უსაფრთხო და პოზიტიურ სასკოლო გარემოში. ხედვით კი განისაზღვრება მოსწავლეთა აღჭურვა 21-ე საუკუნის კომპეტენციებითა და გლობალურ-ფუნქციური უნარებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით და სკოლის სოციალური ქსელით დასტურდება სკოლის წარმატებული პრაქტიკა ამ მიმართულებით. სკოლის დირექციასთან და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ უსაფრთხო გარემოს შექმნისთვის სკოლა ზრუნავს და მომავალშიც იზრუნებს როგორც ფიზიკურ გარემოზე, ინფრასტრუქტურაზე, ისე პოზიტიური ფსიქო-ემოციური კლიმატის შექმნაზე.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის დირექტორის ბრძანებით წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, იმსჯელა, გაანალიზა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები და შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია.

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოებასთან შეხვედრის და მათგან უკუკავშირის მიღების დამადასტურებელი ოქმი. აღნიშნული დოკუმენტით დასტურდება, რომ სკოლის მიერ შემუსავებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მოწონებულია სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლების) მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი. განთავსებულია სკოლის ფოიეში და ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება "სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანის საჯარო სკოლა" სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ტერმინს (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა).

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი https://shorturl.at/8UWxl*
- *სკოლის სოციალური ქსელი: https://www.facebook.com/tkhilvanis.sajaro.sk.ola*
- *კითხვარი;*
- *სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი N1 25/12/2025 წ;*
- *უკუკავშირის ოქმი #1 23/03/2026 წ;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 24 დეკემბერს სკოლის დირექტორის ბრძანებით #01-07/80 დამტკიცებული სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, სკოლა დაინტერესებულ მხარეებს რთავს შემუშავების, ინფორმაციის შეგროვების, გაზიარების, უკუკავშირის მიღებისა და შეთანხმების ეტაპებზე. ამრიგად, სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სასკოლო საზოგადოების მიერ შემუშავებული შვიდ წლიანი (2025-2032) სტრატეგიული გეგმა, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს შვიდ მსხვილ მიზანს, მიზნების შესაბამის ამოცანებს და კორელაციაშია სკოლის მისია, ხედვასა და ღირებულებებთან.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი (2025-2026) სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის სტრატეგიული გეგმიდან (2025-2032). მასში გათვალისწინებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშს. სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ

წერილობით ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ. სამოქმედო გეგმის ანგარიშები, განიხილება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით, განთავსდება სკოლის ვებ-გვერდზე. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლოა, განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმის ცვლილება.

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2025 წლის 29 დეკემბერს სკოლის დირექტორის #01-03/99 ბრძანებით დამტკიცებული 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა. მასში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და რესურსები. სკოლას მიეცა **რჩევა**, მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში დააზუსტოს რესურსების ნაწილი. კერძოდ, დააკონკრეტოს ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსი, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტური იქნება.

ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება #01-07/84. 24/12/2025წ*
- *სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის ბრძანება #01-07/80. 24/12/2025წ;*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;*
- *სტრატეგიული გეგმა 2025-2032;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მე-11 მუხლი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამეურვეო საბჭო. მონიტორინგი ასევე ითვალისწინებს პასუხისმგებელი პირების მიერ ანგარიშების წარმოდგენას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. წარმოდგენილ მეთოდოლოგიას დანართის სახით ერთვის მონიტორინგის ცხრილი.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის გრძანება #01-07/80. 24/12/2025წ;*
- *სკოლის ფილოსოფიის შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები. ასევე, წარმოდგენილია გრაფიკულად გამოსახული სკოლის სტრუქტურა და საშტატო განრიგი. საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, ექთანი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 1 ცეცხლფარეში და 18 მასწავლებელი. სკოლაში მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 5 საგნობრივი ჯგუფის კათედრა და მოსწავლეთა თვითმმართველობა. მასწავლებლებთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები და სრულყოფილად ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო აღწერილობის დოკუმენტითა და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეჯერებით დგინდება, რომ სკოლის სრუქტურული ერთეულების/ პირებს შორის ფუნქციები და ვალდებულებების განაწილება უკავშირდება სკოლის ძირითადი საქმიანობის შესრულებას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები ბრძ.*№01-03/100 30/12/2025;
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *საშტატო განრიგის დამტკიცების ბრძანება #01-07/20;*
- *საშტატო განრიგი.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. პოლიტიკის მიზანია, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. იგი მოიცავს ისეთ მუხლებს, როგორიცაა: პერსონალის პროფესიული განვითარება; ახალი თანამშრომლის ადაპტაცია; შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვა; შეფასება; მოტივაცია; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. თავდაპირველად წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებული იყო, რომ სკოლა თავისი საქმიანობის ფარგლებში ხელმძღვანელობს სხვადასხვა კანონმდებლობით, რომელთა შორის იყო ვიზტის პერიოდისთვის ძალადაკარგული აქტი 2020 წლის 30 ივნისის N67/ნ ბრძანება, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარმოადგინა და გადმოაგზავნა სახეცვლილი “ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი”, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობების დოკუმენტში გაწერილია დასაქმებული პირების არ ყოფნის შემთხვევაში თუ ვის მიერ და/ან როგორ მოხდება მათი ჩანაცვლება. ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დროულად ცხადდება კონკურსები, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა უზრუნველყოფს სამუშაოზე არ მყოფი მასწავლებლის ჩანაცვლებას ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტი არეგულირებს პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მართვის მექანიზმი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. სკოლის მისიის შესრულებისთვის, სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარებისთვის დაგეგმილი აქტივობები. ადგილზე ვიზიტის დროს შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ დარეგულირებულია პერსონალის ინტერვენციული მართვის საკითხები.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, თანამშრომლის მიღება (გარდა მასწავლებლის/მასწავლებლის მაძიებლის/ სპეციალური მასწავლებლის/სამედიცინო პერსონალის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის) ხდება დირექტორის გადაწყვეტილებით კანდიდატთან გასაუბრების გზით. დირექტორის გადაწყვეტილებით თანამშრომლის სამუშაოზე მიღება, ასევე, შესაძლებელია კონკურსის საფუძველზე. წარმოდგენილია ღია კონკურსის მასალები. მასწავლებლებთან გაფორმებულია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N174/ნ (2019 წლის, 20 აგვისტო) ბრძანებით განსაზღვრული, სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი). წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმების, „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში სულ დასაქმებულია 21 პირი, მათგან 16 მასწავლებლის სტატუსის მქონე. ვიზიტის პერიოდში, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) შესწავლილი იქნა პერსონალის მონაცემები, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და

დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, სკოლის ექთნის კომპეტენცია არ შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესს".

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის "მე და საზოგადოება", "მოქალაქება", "სპორტის და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" ვაკანტურ საათებზე და სკოლის ექთნის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადებას, კანონმდებლობის შესაბამისად საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე. 12 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) უზრუნველყოს სკოლის ექთნის და საგნების: ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის, "მე და საზოგადოება", "მოქალაქეობა", "სპორტის და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება. აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს. სკოლის ადმინისტრაცია ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, ხოლო სკოლის სტრუქტურული ერთეულების: მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო თანამშრომლობით პრინციპს, დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს, მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შინაგანაწესი ითვალისწინებს თანამშრომელთა წახალისების მექანიზმებს. ესენია: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის მიმართ შეიძლება ერთდროულად გამოყენებული იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქცია-მოვალეობები ბრძ.№01-03/100 30/12/2025;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*
- *შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები სკოლას გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში. დოკუმენტის თანახმად, შესაძლებელია თანამშრომელთა საჭიროების კვლევა და შესაბამისი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება. დირექციის შეხვედრებზე რეგულარულად განიხილება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა. საჭიროების შემთხვევაში შემუშავდება ადამიანური რესურსის სტაბილურობისთვის შესაბამისი რეკომენდაციები. ჩატარდება სამუშაო პირობების შესახებ დასაქმებულთა აზრის პერიოდული კვლევა და ანალიზი.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების პოლიტიკის ამოცანაა დასაქმებულთა მუდმივი განვითარება. მაღალკვალიფიციური და შესაბამისი კადრების შენარჩუნება/მომზადების მიზნით მათი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება; პროფესიული განვითარების დაგეგმვა, პროცესის ორგანიზება და მართვა.

ინდიკატორი 3.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს დასაქმებულთა მონაწილეობა სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში და დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მისი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში. სკოლის პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ მასწავლებლის სახლის მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებითა და ცნობებით. სკოლამ წარმოადგინა უახლესი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს ბუღალტრის მიერ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგში მონაწილეობას და სკოლის მხრიდან აღნიშნული ტრენინგის დაფინანსებას, რაც მიუთითებს ორგანიზაციის მხრიდან პერსონალის პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობაზე.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

დაწესებულება ზრუნავს ახალი კადრის ადაპტაციის პროცესზე. წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია თანამშრომელთა ადაპტაციის ეტაპები, აქტივობები და სკოლის ვალდებულებები ამ

მიმართულოებით. სასკოლო საზოგადოებამ დაადასტურა, რომ ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება დოკუმენტის შესაბამისად. ახალ თანამშრომელს აცნობენ მუშაობის სპეციფიკას, სკოლაში დამკვიდრებულ მიდგომებს და სკოლის შინაგანაწესს. საქმისწარმოებლის და კათედრის თავმჯდომარის მიერ ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფში.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულებას აქვს პრაქტიკა წაახალისოს თანამშრომელთა პროფესიული განვითარების აქტივობები. უახლოეს პერიოდში სკოლის მიერ დაფინანსებულია ბუღალტრის ტრენინგები.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად, ხარისხის მართვა ეფუძნება დემინგის ციკლს და იგი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

წარმოდგენილი სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში გაწერილია სკოლის მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესები უკავშირდება სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და კონტროლს: სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა და წლიური დაგეგმვა. ძირითად პროცესად სკოლაში განისაზღვრება: სასკოლო კურიკულუმის შემუშავება/გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა. დოკუმენტის თანახმად, სკოლა, ასევე ახორციელებს ისეთ დამხმარე პროცესებს, როგორიცაა: განათლების საინფორმაციო სისტემის მართვა, მოსწავლის სერვისების განხორციელება, საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება, მატერიალური რესურსების მართვა, ფინანსური რესურსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, საზოგადოებასთან ურთიერთობა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, პროფესიული განვითარება და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული "განცხადების და საჩივრის განხილვის წესი". აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში განცხადებებისა და საჩივრის წარდგენის წესსა და ვადებს. დისციპლინური წარმოების წესს, კონკურსისა და შიდა გამოცდების შედეგების გასაჩივრებას და სხვა. დირექტორის გამოცემულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში მითითებულია გასაჩივრების ადგილი და დრო. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური

გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება მოცემულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილია, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმების". დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლზე. სკოლას აქვს შინაგანაწესი. შინაგანაწესით გაწერილია დასაქმებულთა სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. სასკოლო საზოგადოება იცნობს სკოლის შინაგანაწესს, რაც დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესი არის მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *განცხადების და საჩივრის განხილვის წესი N01-03/91. 11/09/2025;*
- *მოსწავლის, პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები N01-03/89. 08/09/2025;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი N01-03/93. 11/09/2025;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება, რომ მართვის პროცესებთან დაკავშირებით საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს სკოლის ოფიციალურ სოციალურ გვერდებს. სკოლის მიერ სოციალური ჯგუფების საშუალებით ვრცელდება მართვის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაცია და აღნიშნული საშუალებით ხდება უკუკავშირის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. იმ შემთხვევაში თუ საკითხი სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განსაზღვრავს შემდგომ ადრესატს დაინტერესებული პირისთვის ან სთხოვს მას წერილობით განცხადებით მომართვას, შემდგომი რეაგირების მიზნით.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის კოლეგიური ორგანოები დაკომპლექტებულია შიდა სასკოლო მარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით დადგენილი მოთხოვნების დაცვით მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით (მაგალითად, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო). იკვეთება აღნიშნული ორგანოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაც დასტურდება კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმებით.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი ბრძ.N01-03/97. 12/09/2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების საფუძველზე. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებსა და უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის შენობების შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია საკმარისი ვიდეო სათვალთვალო კამერით. კამერებზე წვდომა აქვს მხოლოდ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს. სკოლის ტერიტორია შემოღობილია. სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე საავარიო გასასვლელი.

სკოლამ წარმოადგინა 2026 წლის 20 იანვრის **მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ** და **უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან მიმდინარე წლის 22 იანვარს შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.**

რჩევა: სასურველია, სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

დაწესებულამ წარმოადგინა წერილი სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსადმი. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა მოპოვებული უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა.

*თვითშეფასების კითხვართან ერთად სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას გეგმავს 2026 წლის 23 დეკემბრამდე, 1 წლამდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის პოზიცია და ინდიკატორი შეფასდა როგორც **მეტწილად შესაბამისი.***
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის ექთნის კომპეტენცია არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა მას გავლილი აქვს ტრენინგი და მოპოვებული აქვს სერტიფიკატი პირველადი დახმარების აღმოჩენის შესახებ. აქედან გამომდინარე, სკოლა შეუძლია უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სკოლას არ ემსახურება მანდატური. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სკოლაში განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საევაკუაციო გეგმა. სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. შექმნილია მრჩეველთა საბჭო. ვიზიტორთა გადაადგილებას სკოლის ტერიტორიაზე აკონტროლებს სკოლის დარაჯი.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლაში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო. წარმოდგენილია მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები და სამოქმედო გეგმა. მშობლებმა და მოსწავლეებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ სკოლაში შექმნილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემო.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია სულ 8 სველი წერტილი, მათ შორის 1 ადაპტირებული სველი წერტილი, 1 პერსონალისთვის და 3-3 ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის დასუფთავებას ყოველდღიურად. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები. ხელსაბანის რაოდენობა შესაბამისია. სკოლის სანიტარულ ჰიგიენური კვანძები აღჭურვილია სათანადო ჰიგიენის საშუალებებით. სკოლას მიეწოდება სასმელად ვარგისი წყალი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად პროცესების წარმართვას. ვიზიტის მომენტისთვის სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში დამონტაჟებული და ჩართული იყო ვიდეო თვალი, რომელიც ექსპერტთა მითითებისთანავე დაუყოვნებლივ ჩახსნა კავშირიდან სკოლამ.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს პეროსნალურ მონაცემებს დაცულია ცალკე ოთახში, კარადაში, რომელიც იკეტება საკეტით.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია განიხილოს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და მოისმინოს სკოლის დირექტორის ანგარიში რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა (22/01/2026);*
- *მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ (20/01/2026);*
- *წერილი სასამართლო ექსპერტიზის ბიუროსადმი (20/01/2026) შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრის მოთხოვნით;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;*
- *მრჩეველთა საბჭოს შექმნის ბრძანება №01–07/85. 24/10/2025;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმები №1, 2;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები ბრძანება №01–03/94. 11/09/2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა, რომელიც მდებარეობს სოფელ თხილვანაში, საკადასტრო კოდი 23.13.31.451. წარმოდგენილ ამონაწერში მითითებულია 2885.00 კვ.მ. ფართობი. თუმცა, ამონაწერში საჯარო რეესტრიდან მოსარგებლედ არ ფიქსირდება სკოლა. შემოღობილ ფართში მდებარეობს 2 შენობა: სასწავლო

კორპუსი და საქვაბე. შენობა ორსართულიანია. პირველ სართულზე მდებარეობს სველი წერტილები, სამედიცინო კაბინეტი, სპორტ დარბაზის განკუთვნილი ოთახი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი და 4 საკლასო ოთახი, მათგან ვიზიტის ეტაპისთვის სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა მხოლოდ ერთ საკლასო ოთახში. მეორე სართულზე განთავსებულია დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და 9 საკლასო ოთახი. საკლასო ოთახებში განთავსებულია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და სხვა საჭირო ინვენტარი. სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი და შესაბამისი სპორტული ინვენტარი. სკოლას აქვს სხვადასხვა თვალსაჩინოებები და აუცილებელი მატერიალური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბარატორია, თუმცა აქვს ფართი პირველ სართულზე მის მოსაწყობად. შენობა გარემონტებულია 2016 წელს. სკოლას აქვს ცენტრალური გათბობა დიზელის საწვავზე.

ხარვეზი: ამონაწერში საჯარო რეესტრიდან მოსარგებლედ არ ფიქსირდება სკოლა / სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა, შესაბამისად ვერ დასტურდება სკოლის მატერიალური რესურსის/შენობის ფლობა მისი არსებობის ვადით.

*დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლებას, სადაც მოსარგებლედ აღინიშნება სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა, 2027 წლის მარტამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (მარტი, 2026 - მარტი, 2027) უზრუნველყოს სათანადო საჯარო რეესტრის ამონაწერის განახლება, სადაც მოსარგებლედ აღინიშნება სსიპ ტბელ აბუსერისძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ თხილვანას საჯარო სკოლა.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სასკოლო რესურსების ხელმისაწვდომობა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის. დათვალიერებამ ცხადყო, რომ დაწესებულების ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა

შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დროს სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში ჩართვა, ხოლო შესვენებაზე სრულფასოვანი დასვენება.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. ბიბლიოთეკაში მოწყობილია სამკითხველო და საცავი სივრცეები. ბიბლიოთეკაში აღრიცხულია როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული (1560 ერთეული) და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკარს აღრიცხული აქვს თითოეული წიგნი როგორც მატერიალურად, ისე ელექტრონულად, დამოწმებული აქვს ბიბლიოთეკის ბეჭდით 1-ელსა და მე-17 გვერდებზე.

რჩევა: ვინაიდან სკოლის ბიბლიოთეკარი ასევე არის მასწავლებელი, და როგორც მასწავლებელს აქვს 18 საათიანი კვირეული დატვირთვა, სასურველია შეადგინოს და მოსწავლეებს გააცნოს სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის განრიგი.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებელია

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლას პირველ სართულზე აქვს ფართი რესურს ოთახის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობისთვის. პირველ სართულზეა განთავსებული ადაპტირებული სველი წერტილი, კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, ოთახი დახურული სპორტული დარბაზისთვის, სამედიცინო კაბინეტი და 2 საკლასო ოთახი. სკოლის ცენტრალურ შესასვლელში მოწყობილია პანდუსი. სკოლის შენობის მეორე სართულზეა განთავსებული ბიბლიოთეკა. აქედან გამომდინარე, სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ვერ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.

ხარვეზი: დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ყველა საერთო სარგებლობის სივრცის ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის შენობაში კიბეებზე გადასაადგილებლად პანდუსის ან ლიფტის მონტაჟს გეგმავს 2028 წლის მარტამდე, 24 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***ნაწილობრივ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, (მარტი,2026 - მარტი, 2028) სწავლის ინკლუზიური გარემოს მოწყობის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ყველა საერთო სარგებლობის სივრცის ხელმისაწვდომობას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვის.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის შიდა და გარე ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი, კომპიუტერული კლასი და სხვა თავისუფალი ოთახები ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;*
- *ბიბლიოთეკის მუშაობის წესი ბრძ. N 01-03/95. 12/09/2025.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას არ ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი. მის ფუნქციას ასრულებს ისტის მასწავლებელი. სკოლას აქვს 9 კომპიუტერი, რომელთაგან 3 განთავსებულია კომპიუტერულ კლასში (დაწყებით კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 3-ს), 1 დირექციაში, 1 სამასწავლებლოში, 1 ბიბლიოთეკაში. 3 ბუკი მასწავლებლების სარგებლობაშია; ასევე აქვს 3 პროექტორი და 1 პრინტერი. სკოლა მიეწოდება ინტერნეტი. რაც შესაძლებლობას იძლევა სრულფასოვნად წარმართოს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესი, მარტივად მიიღოს და გაავრცელოს სრულყოფილი და საჭირო ინფორმაცია. სკოლა იყენებს შემდეგ ელექტრონულ პლატფორმებს: eflow, eschool, email.mes.gov.ge, signature.emis.ge, skolebi.emis.ge.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ლაბორატორიის გამოყენების წესი კომპიუტერული ლაბორატორიით და არსებული ტექნოლოგიებით სარგებლობას თანაბრად ხელმისაწვდომს ხდის მოსწავლეთა / მასწავლებელთათვის და თანამშრომელთათვის და მათი საქმიანობის ეფექტურად წარმართვას უწყობს ხელს. სკოლაში არსებული კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია და გამოიყენება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განსახორციელებლად, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით და არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის ხელშეწყობისათვის. კომპიუტერულ კლასზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ლაბორატორიის გამოყენების წესი. ბრძ. N01-03/96. 12/09/2025;*
- *საქმისწარმოების წესი ბრძ. N01-03/97. 12/09/2025*
- *ვებ გვერდი skolebi.emis.ge*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სკოლა ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება დადგენილი წესის შესაბამისად. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებელია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის იყენებს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტას - thkhilvani@mes.gov.ge, ვებ გვერდი - skolebi.emis.ge), სკოლა ასევე იყენებს, ელექტრონული ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის ასევე გამოიყენება ელექტრონული ფოსტა და სხვადასხვა დახურული ჯგუფები სოციალურ ქსელში.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა eSchool-ის ბაზები, რომლებიც სრულყოფილია, შევსებულია ყველა სავალდებულო ველი.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს ფინანსური და სასწავლო წლის მიმდინარეობის შესახებ, ხოლო ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, პრემიერ მინისტრს, პრეზიდენტსა და საკანონმდებლო მაცნეს საჯარო ინფორმაციის წარდგენის შესახებ ანგარიშს.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი* *ბრძ. N01-03/97.* *12/09/2025*
- *ვებ გვერდი* *skolebi.emis.ge*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge. მასზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის ვებ გვერდის შესაბამისი გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება ჩავთვალოთ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუთიც დადასტურდა, რომ დირექცია ღიაა უკუკავშირისადმი. აღნიშნულის დასტურად დაწესებულებამ მოიყვანა ცეკვის წრის გახსნის მაგალითი. როცა მშობლებმა მიმართეს დირექტორს თხოვნით აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსწავლეთა მცირე რაოდენობის გამო, ვერ მოხერხდა ცეკვის წრის გახსნა. სკოლის ხელოვნების მასწავლებელმა, რომელიც ასევე არის დამსახურებული მოცეკვავე, მსურველი მოსწავლეებისთვის გამოყო დრო, სკოლამ კი უზრუნველყო სივრცე და უსაფრთხოება და მოსწავლეებს შესთავაზეს უფასო ცეკვის წრე.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა 2025-2032, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026, ქცევის წესები და აპელაციის მექანიზმი, შინაგანაწესი, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა, პირველ კლასში მისაღები მოსწავლეთა რაოდენობა, ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საფეხურის კურიკულუმები, პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი) მოცემულია პორტალზე ატვირთულ "მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესში". სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, შესაბამისად სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები არ არის განხორციელებული, შესაბამისად გასაჯაროებული.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ვებ გვერდი სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge;*
- *გვერდი სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/tkhilvanis.sajaro.sk.ola*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას.

რჩევა: სასურველია, სკოლის ბიუჯეტის კორექტირებისას გათვალისწინებული იქნას ხარჯები მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებისთვის.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლის დირექტორი თანხებს განკარგავს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ფინანსური ანგარიშგება კანონმდებლობით დადგენილი წესით ხორციელდება და შესრულების ანგარიში წარედგინება სკოლის სამეურვეო საბჭოს. დაწესებულება სარგებლობს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემით. შესყიდვების ხელშეკრულებები იტვირთება etreasury.ge-ზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლაში შექმნილია მყარი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს კანონით გათვალისწინებული მოსწავლის უფლებების რეალიზებას, დაცვასა და გარანტიების ეფექტურ აღსრულებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა რეგულაციები სისტემურად ფარავს მოსწავლეთა უფლებების ყველა ძირითად ასპექტს: ნორმატიული ბაზა: მოსწავლის უფლებებისა და მოვალეობების რეგულირება ხორციელდება „შინაგანაწესით“ (დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 8 სექტემბრის N 2 ოქმით) და „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით“. ეს დოკუმენტები ქმნის საფუძველს დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის აკრძალვისა და მოსწავლეთა ჩართულობისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. შინაგანაწესი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლის ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის გარანტიებს. პრაქტიკულ

დონეზე აღნიშნული გარანტიების აღსრულებას აძლიერებს დამრიგებლის მუშაობის დებულება (დამტკიცებულია დირექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის N 01-03/98 ბრძანებით), რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასა და მათზე მუდმივ ზრუნვას. აკადემიური პროცესების გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმით, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს შეფასების ობიექტურ კრიტერიუმებს, მათ შორის: შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესს, ქულების დაანგარიშების მექანიზმებს, საგამოცდო პროცედურებსა (სემესტრული, საშემოდგომო, ექსტერნატი) და შინ სწავლების პირობებს, რაც გამორიცხავს მოსწავლის აკადემიური უფლებების დარღვევის რისკებს. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები აკონკრეტებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს, რაც ქმნის დამატებით გარანტიას საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის უფლებებისა და სასკოლო რეგულაციების განმსაზღვრელი დოკუმენტაციის სრულ გამჭვირვალობასა და სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას. აღნიშნული უზრუნველყოფილია კომუნიკაციის მრავალფეროვანი არხებით. საჯაროობა და ვიზუალური ხელმისაწვდომობა: მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მათ შორის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა, საჯაროა და განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ვიზუალურად ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ინფორმირებულობის მექანიზმები: სკოლა ახორციელებს სისტემურ მიდგომას მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირების მიმართულებით. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე ხდება შიდა რეგულაციების დეტალური გაცნობა. სამართლებრივი დადასტურება: შინაგანაწესი განხილულია როგორც სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. მშობლის მიერ დოკუმენტაციის გაცნობა და მასზე თანხმობა დასტურდება ინდივიდუალური ხელმოწერებით, რაც უზრუნველყოფს მხარეთა პასუხისმგებლობის მაღალ ხარისხს. სკოლის მიერ დანერგილი კომუნიკაციის სისტემა გამორიცხავს ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტური მტკიცებულებებით, ასევე ვიზუალური დათვალიერებით და მშობლებთან/სასკოლო საზოგადოებასთან ჩატარებული გასაუბრების შედეგებით.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლა მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობას აწესრიგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიოდ სტრუქტურირებული ხელშეკრულებების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მხარეთა უფლება-მოვალეობების დაცვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის ხელშეკრულების ნიმუში სრულად შეესაბამება „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დოკუმენტში ნათლად არის დიფერენცირებული სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და ვალდებულებები. ხელშეკრულება მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზების, უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის, დავების გადაჭრის მექანიზმებისა და ურთიერთობების შეწყვეტის საფუძვლების ჩამონათვალს. ხელშეკრულების ფორმატი უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობების მაღალ სიცხადეს. დოკუმენტები რეკვიზიტებითა და მხარეთა ხელმოწერებით დადასტურებულია, რაც გამორიცხავს ინტერპრეტაციების შესაძლებლობას და ზრდის ინსტიტუციურ სანდოობას.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;*
- *მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *თვითმმართველობის დებულება;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მშობელთა კრების ოქმები.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის კონტიგენტის ფორმირებისა და მართვის გამჭვირვალე სისტემა, რომელიც სრულად შეესაბამება მოქმედ საგანმანათლებლო კანონმდებლობასა და დადგენილ სტანდარტებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. მასში მკაფიოდ არის გაწერილი პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურები, მობილობის ეტაპები და აკადემიური საფეხურის დაძლევის კრიტერიუმები. აღნიშნული მექანიზმების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, დოკუმენტი განთავსებულია სკოლის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებულ მხარეს წინასწარ გაეცნოს სკოლის მიერ დადგენილ პროცედურებს. სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები ინტეგრირებულია მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (კერძოდ, მე-6 მუხლში). ეს მიდგომა ადასტურებს, რომ მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი ცვლილება მშობლისთვის წინასწარ არის ცნობილი, არგუმენტირებულია და ეფუძნება ორმხრივ შეთანხმებას. სკოლაში მოქმედი მოსწავლის სტატუსის მართვის მექანიზმები არის მკაფიოდ სტრუქტურირებული და საჯარო, რაც იცავს მოსწავლის ინტერესებს.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის მართვის დადგენილ მექანიზმებს, რაც დასტურდება როგორც შიდა დოკუმენტაციის ანალიზით, ისე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (Eschool) მონაცემებით. სკოლის მიერ წარმოებული ელექტრონული ჟურნალები და მოსწავლეთა პირადი საქმეები Eschool-ის ბაზაში სრულ შესაბამისობაშია სკოლის შიდა სამართლებრივ აქტებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს სტატუსის ცვლილების (მობილობა, შეჩერება, შეწყვეტა) დროულ და კანონშესაბამის ასახვას ერთიან სისტემაში. საფეხურის დაძლევის მექანიზმები ორგანულად არის ინტეგრირებული სასკოლო სასწავლო გეგმაში. ეს გულისხმობს მოსწავლის აკადემიური მიღწევების ობიექტური შეფასების სისტემასა და მომდევნო კლასში/საფეხურზე გადაყვანის გამჭვირვალე კრიტერიუმების არსებობას. ვიზუალური დათვალიერებითა და გადამოწმებით დასტურდება, რომ სკოლაში არსებული მატერიალური დოკუმენტაცია (ბრძანებები, ოქმები) და ციფრული ჩანაწერები იდენტურია, რაც მიუთითებს ადმინისტრაციული პროცესების გამართულობაზე. სკოლის მიერ დანერგილი მართვის მექანიზმები და მათი ციფრული ადმინისტრირება სრულად უზრუნველყოფს მოსწავლის სტატუსის უწყვეტობას, აკადემიური მიღწევების სამართლიან აღიარებასა და პროცესების შესაბამისობას სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ინფორმაციის სრულ საჯაროობას და გამჭვირვალობას. სკოლა ახორციელებს სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. მიმდინარე ეტაპზე სკოლას არ აქვს დამატებითი ფასიანი საგანმანათლებლო თუ არასაგანმანათლებლო სერვისები.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის, შიდა რეგულაციებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის სრულყოფილ, განახლებად და არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობას. სკოლა ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს და რეგულაციებთან დაკავშირებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის (სკოლის ვებგვერდი, საინფორმაციო დაფები, მშობელთა კრებები). მიმდინარე ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით ფასიან საგანმანათლებლო თუ არასაგანმანათლებლო სერვისებს. შესაბამისად, ინფორმაცია დამატებითი მომსახურების პირობების შესახებ არ არის აქტუალური. ნებისმიერი ახალი აქტივობის დაგეგმვის შემთხვევაში, სკოლა იღებს ვალდებულებას, დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდოს სრული და გამჭვირვალე ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესი (2025 წლის 01 დეკემბრის #01-03/90 ბრძანება);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *ვებგვერდი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლაში დანერგილია მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის ეფექტური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და მათ ინტეგრაციაზე სასკოლო ცხოვრებაში. ადაპტაციის პროცესი რეგულირდება დირექტორის შესაბამისი ბრძანებებით დამტკიცებული დოკუმენტებით: „მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ (2025 წლის 8 სექტემბრის N01-03/87) და „ტრანზიციის დებულება“ (2025 წლის 15 სექტემბრის N01-03/98). აღნიშნული მექანიზმები მოიცავს კომპლექსურ მიდგომას სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეებისთვის, მათ შორის: პირველკლასელთათვის, მობილობით შემოსულთათვის და ენობრივი ბარიერის მქონე მოსწავლეთათვის. დოკუმენტაცია დეტალურად განსაზღვრავს დეზადაპტაციის შესაძლო ნიშნებს, მათ ამოცნობის მექანიზმებსა და პრევენციის პრაქტიკულ გზებს. ეს სისტემა მოსწავლეებს ეხმარება სტრესის მართვაში, სასკოლო კულტურის გათავისებასა და აკადემიურ თუ სოციალურ ჩართულობაში. სკოლის მიერ შემუშავებული ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმები უზრუნველყოფს მოსწავლის ფსიქო-ემოციურ უსაფრთხოებას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესში მათ წარმატებულ ადაპტირება.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში დანერგილი ადაპტაციისა და ტრანზიციის მექანიზმები ეფექტურად ხორციელდება პრაქტიკაში, რაც დასტურდება როგორც სასკოლო საზოგადოების (დირექტორი, პედაგოგები, მშობლები, მოსწავლეები) გამოკითხვით, ისე არსებული გამოცდილების ანალიზით. „ტრანზიციის დებულების“ მე-7 და მე-8 მუხლებით გათვალისწინებული პროცედურები - ახალი მოსწავლის კლასთან წარდგენა, ინდივიდუალური კონსულტაციები და მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაცია -უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ მხარდაჭერას. სკოლა ახორციელებს აქტიურ თანამშრომლობას თემში არსებულ საბავშვო ბაღებთან,

რაც უზრუნველყოფს სკოლამდელი საფეხურიდან სასკოლო გარემოში უმტკივნეულო და თანმიმდევრულ გადასვლას. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში განხორციელებულმა გასაუბრებებმა საბაზო და საშუალო საფეხურზე ახლად გადმოსულ მოსწავლეებთან, ცალსახად დაადასტურა სკოლის მხარდაჭერისა და კეთილგანწყობის ფაქტი, რაც ადაპტაციის სისტემის ეფექტიანობის საუკეთესო ინდიკატორია.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის სისტემური მექანიზმი, რომელიც ეფუძნება „დამრიგებლის მუშაობის დებულებას“ და ორიენტირებულია მონაცემებზე დაფუძნებულ ინდივიდუალურ მიდგომებზე. დებულების მე-3 მუხლის (3.4 პუნქტი) საფუძველზე, დამრიგებელი ახორციელებს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების სისტემატურ მონიტორინგს. აღნიშნული მექანიზმი წარმოადგენს „ადრეული შეტყობინების“ სისტემას, რომელიც რისკის მქონე მოსწავლეების აკადემიური ჩამორჩენის დროულ პრევენციას უზრუნველყოფს. დამრიგებლის პორტფოლიო (მუხლი 8) გამოიყენება როგორც მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური ინსტრუმენტი, სადაც ფიქსირდება მოსწავლეთა მოტივაციისა და ინდივიდუალური მიღწევების მონაცემები. ეს საშუალებას იძლევა, მხარდაჭერის ღონისძიებები იყოს მიზნობრივი და მორგებული კონკრეტულ საჭიროებებზე. დებულების 3.10 პუნქტის შესაბამისად, მშობელთა დროული ინფორმირება აკადემიური პროგრესის შესახებ მუდმივი პროცესია. სისტემის ეფექტიანობა გამოვლინდა მოსწავლეთა გამოკითხვით, რაც ადასტურებს, რომ საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგები დროულად ახორციელებენ დამატებით კონსულტაციებსა და ინდივიდუალურ მეცადინეობებს.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის კანონიერი უფლებების რეალიზებას ადმინისტრაციული მომსახურების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და გამჭვირვალე წესით მიწოდებით. სკოლის ადმინისტრაცია პასუხისმგებელია მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი პროცედურის - მათ შორის, ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერება/აღდგენისა და პირადი საქმის წარმოების კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარმართვაზე. ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოიცავს არა მხოლოდ დოკუმენტურ უზრუნველყოფას, არამედ მშობლისა და მოსწავლის მუდმივ ინფორმირებას მათი უფლებების, პროცედურული ნაბიჯებისა და კანონით განსაზღვრული ვადების შესახებ. სკოლის ადმინისტრაციული რესურსი მიმართულია პროცედურული გამჭვირვალობისა და ვადების დაცვისკენ, რაც მაქსიმალურად იცავს მოსწავლის უფლებებსა და ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში ჩამოყალიბებულია დემოკრატიული სასკოლო კულტურა, სადაც მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად მონაწილეობს სკოლის განვითარების პროცესებში. „მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების“ (მუხლი 8) საფუძველზე, მოსწავლეებს აქვთ ფორმალური მექანიზმი, წარუდგინონ ადმინისტრაციას საკუთარი ინიციატივები და წინადადებები, რაც უზრუნველყოფს მათ რეალურ გავლენას სასკოლო ცხოვრებაზე. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა მონაწილეობას მრავალფეროვან აქტივობებში: პროექტებში, ოლიმპიადებში, გამოფენებსა და სპორტულ ღონისძიებებში როგორც ადგილობრივ, ისე მინიციპალურ და რეგიონულ დონეზე. სკოლის ორიენტირებულობა მოსწავლეთა საჭიროებებზე დასტურდება წარმატებული პრაქტიკით: მოსწავლეთა ინიციატივით შექმნილი წრე, რომლისთვისაც სკოლამ უზრუნველყო ინფრასტრუქტურა და მოიზიდა მაღალკვალიფიციური პედაგოგიური კადრი. მოსწავლეთა თხოვნის საფუძველზე, ინგლისური ენის მიმართულებით დამატებითი კონსულტაციების დანერგვა, რაც მიუთითებს პედაგოგებისა და მოსწავლეების თანამშრომლობით კულტურაზე. სკოლა თანამშრომლობს ახალგაზრდობის რეგიონალურ ცენტრთან, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ჩაერთონ მრავალფეროვან სპორტულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებში (მაგალითად, სოფლებს შორის გამართული ფეხბურთის შეჯიბრი). აღნიშნული პარტნიორობა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკურ აქტივობასა და გუნდური მუშაობის უნარების განვითარებას. მოსწავლეთა ინიციატივით დაიგეგმა შემეცნებითი ექსკურსია აბასთუმანში. მოსწავლეთა აკადემიური თუ პიროვნული მიღწევების, ინიციატივების წახალისება ხორციელდება სისტემურად (სიგელები, მადლობის სიგელები და სხვა), რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და თვითშეფასებაზე. აღნიშნული ადასტურებს, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა სოციალიზაციაზე.

ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში დანერგილია უკუკავშირის ეფექტური სისტემა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო მომსახურების უწყვეტ გაუმჯობესებაზე. უკუკავშირის ძირითად არხებად გამოიყენება დამრიგებლის საათი და მშობელთა კრებები. „დამრიგებლის დებულების“ მე-7 მუხლი განსაზღვრავს რეფლექსიის, თვითშეფასებისა და მოსწავლეთა შეფასების სტრუქტურირებულ პროცესს, რაც წარმოადგენს ხარისხის მართვის მნიშვნელოვან ბერკეტს. აღნიშნული მექანიზმები არ არის მხოლოდ ფორმალური. მშობლებისა და მოსწავლეების გამოკითხვის/გასაუბრების შედეგები აისახება სკოლის გადაწყვეტილებებში. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციით, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;*
- *ტრანზიციის დებულება (2025 წ.);*
- *სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი;*
- *დამრიგებლის მუშაობის დებულება;*
- *მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა ახორციელებს კარიერული დაგეგმვის ინტეგრირებულ მოდელს, რაც მიზნად ისახავს მოსწავლეების მომზადებას შემდგომი განათლებისა და პროფესიული არჩევანისთვის. საბაზო და საშუალო საფეხურის სასკოლო სასწავლო გეგმა ითვალისწინებს პროფესიული ორიენტაციის თემატიკის ინტეგრაციას დამრიგებლის საათში. ეს მოსწავლეებს აძლევს სისტემურ ცოდნას კარიერული დაგეგმვის პრინციპების შესახებ. თეორიული ცოდნის გამყარება ხორციელდება გასვლითი აქტივობების ფარგლებში, სადაც მოსწავლეები უშუალოდ ეცნობიან სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკას. მოსწავლეებთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სკოლის მიერ ორგანიზებული გასვლითი ღონისძიებები არის კარიერული ინფორმირებულობის ეფექტური ინსტრუმენტი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინფორმირებულ არჩევანს.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა ინფორმირებას უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რაც მიზნად ისახავს მათი შემდგომი აკადემიური თუ კარიერული გზის ეფექტურ დაგეგმვას. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამების, მისაღები გამოცდებისა და კარიერული შესაძლებლობების შესახებ მუდმივ და განახლებად ინფორმაციაზე წვდომას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ახალგაზრდულ ცენტრთან და მუნიციპალიტეტის მერიასთან. ეს პარტნიორობა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, მიიღონ

ინფორმაცია საგანმანათლებლო პერსპექტივების შესახებ. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით.

ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა ახორციელებს კარიერული დაგეგმვის სისტემის მუდმივ მონიტორინგსა და ანალიზს, რათა მომსახურება მაქსიმალურად იყოს მორგებული მოსწავლეთა რეალურ საჭიროებებზე. სკოლა სისტემურად აანალიზებს კურსდამთავრებულთა აკადემიურ მიღწევებს, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებსა და მათ შემდგომ არჩევანს უმაღლესი თუ პროფესიული განათლების მიმართულებით.

ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კარიერული დაგეგმვის ნაწილი);*
- *დამრიგებლის საათის თემატიკა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე ეტაპზე სკოლაში არ სწავლობენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეები, დაწესებულება სრულად არის ორიენტირებული ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვაზე. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი მკაფიოდ განსაზღვრავს ინკლუზიურ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ფიქსირდება, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და მზადყოფნის სისტემა, რომელიც ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს. სკოლის პედაგოგიური პერსონალი ინფორმირებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შედგენის მეთოდოლოგიის შესახებ, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის პოტენციური წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში მოქმედი „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამა ხორციელდება გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვით. პროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა შერჩევა და მომსახურების მიწოდება ეფუძნება ობიექტურ კრიტერიუმებს, რაც დასტურდება სკოლაში არსებული დოკუმენტაციით (მოსწავლეთა სიები, მარშრუტები). სერვისის ხელმისაწვდომობა და პროცესის სამართლიანობა დადასტურებულია მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუებით.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა ამ ეტაპზე ახორციელებს მხოლოდ სახელმწიფო პროგრამას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა“. პროგრამის პირობები, მარშრუტები და კრიტერიუმები სრულად შეესაბამება სამინისტროს დადგენილ სტანდარტებს. სატრანსპორტო სერვისის პირობები ხელმისაწვდომია სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წინასწარ ინფორმირებულობას.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა, „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფს სატრანსპორტო სერვისის უსაფრთხო და მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირებულ მიწოდება. ვინაიდან სკოლის მიერ მოწოდებული სატრანსპორტო სერვისი სრულად ექვემდებარება სახელმწიფო პროგრამას, პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხოების საერთო ნორმების მკაცრი დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

- *ტრანსპორტის ტაბელი;*
- *მოსწავლეთა სია.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **(საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)**	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**

კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია (დირექტორის 2025 წლის 11 სექტემბრის N 01-03/92 ბრძანებით დამტკიცებული), მკაფიოდ განსაზღვრავს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, მონიტორინგისა და რევიზიის ციკლურ პროცესს, რაც უზრუნველყოფს მისი მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას. მოცემული დოკუმენტის ანალიზი ცხადყოფს, რომ პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა ძირითადი მხარე – მასწავლებლები, დირექცია, მოსწავლეები და მშობლები. მათი ჩართულობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმირებით, არამედ მოიცავს თანამშრომლობასა და უკუკავშირის მექანიზმებს (მონაცემთა შეგროვება, კათედრის განხილვები, მშობლებთან კომუნიკაცია და სხვ.). კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გამოიყენება წინა წლის შედეგების ანალიზი, რაც უზრუნველყოფს მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებების მიღებას და სკოლის საჭიროებებზე მორგებულ განვითარებას. სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მოქმედებს ერთიანი მეთოდოლოგიური ჩარჩო, რაც უზრუნველყოფს პროცესის თანმიმდევრულობასა და სისტემურობას. მეთოდოლოგია სრულად პასუხობს ინდიკატორის მოთხოვნას, რადგან უზრუნველყოფს მონაწილეთა მრავალმხრივ ჩართულობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი ასახავს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, რომლებიც ორიენტირებულია როგორც ეროვნულ, ისე გლობალურ კომპეტენციებზე, დემოკრატიულ ღირებულებებზე და თანამშრომლობაზე. კურიკულუმში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას; ინკლუზიას; ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას; მოსწავლეთა ჩართულობას და მოტივაციას. სამივე საფეხურის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) კურიკულუმის აღწერილობით ნაწილში იდენტიფიცირებულია არაფორმალური განათლების კომპონენტი. არჩევითი საგნები შერჩეულია მოსწავლეთა და მშობელთა წინასწარი გამოკითხვის საფუძველზე. მაგალითად, საშუალო საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის გაძლიერება პასუხობს მოსწავლეთა კონკრეტულ ინტერესებს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმის შემუშავების პროცესი ეფუძნება სკოლაში არსებულ „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიას“, რომელიც განსაზღვრავს ინტერესთა ჯგუფების მონაწილეობის ფორმატს. სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი შემუშავებულია დირექციის მიერ, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან (მშობელთა და მასწავლებელთა წარმომადგენლობითი ორგანო) და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე. დოკუმენტაციის ანალიზით და გასაუბრებით დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა არის შინაარსობრივი და არა ფორმალური. სკოლა

მცირეკონტიგენტიანია, ძირითადად დაკომპექტებულია სკოლის თანამშრომლებისა და მასწავლებლების შვილებით, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას. ინფორმაციის გაზიარების მიზნით, დამრიგებლები სისტემურად აწვდიან მშობლებს ინფორმაციას, იღებენ უკუკავშირს. სკოლაში ჩამოყალიბებულია კურიკულუმის შემუშავების გამჭვირვალე და ინკლუზიური პრაქტიკა.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია“ (მუხლი 10) და „სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი“ განსაზღვრავს კურიკულუმის გაზიარებისა და საჯაროობის მექანიზმებს. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ინფორმაციის გავრცელება ხდება როგორც ადმინისტრაციულ დონეზე (პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებზე წარდგენით), ისე უშუალო ბენეფიციარებთან (მშობლებთან და მოსწავლეებთან) კომუნიკაციის გზით. დამრიგებლის ფუნქციებში პირდაპირ არის გაწერილი სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებისა და მოსწავლეების ინფორმირება სკოლის პრიორიტეტების, შეფასების სისტემის შესახებ. სამივე საფეხურის კურიკულუმში (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) ნათლად არის მითითებული, რომ არჩევითი საგნები, არაფორმალური აქტივობები ითვალისწინებს მშობელთა და მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგებს, რაც ზრდის მიკუთვნებულობის განცდას.

ინდიკატორი 2.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი);*
- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ბრძ. N 01-03/92. 11/09/2025.*

2.1.2.**კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმის ამჟამინდელი ჩარჩო ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასში ორიენტირება ხდება გრძელვადიან და შუალედურ მიზნებზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად განსაზღვრული კომპლექსური დავალებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილი რესურსები შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის პიროვნულ განვითარებას. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სასწავლო გეგმების მოსწავლეზე ორიენტირებულობის უზრუნველსაყოფად ცდილობენ იყვნენ ფასილიტატორის როლში, მოსწავლეები უფრო მეტად ჩართონ და გააქტიურონ საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებები(გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება) მოსწავლის აღზრდის პროცესში ფუნდამენტალურ როლს ასრულებს. ეს საგნები არ არის მხოლოდ ფაქტების ერთობლიობა: ისინი აყალიბებენ პიროვნებას, როგორც აქტიურ მოქალაქეს და ანალიტიკურ მოაზროვნეს. კურიკულუმი, პროგრამის სტრუქტურა, სასწავლო მასალა, რესურსები შეესებამება საგნის სტანდარტის კვალიფიკაციათა ჩარჩოს **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმების განხორციელებისას მასწავლებლებს გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილი აქვთ შემოქმედებითი პროდუქტებით სწავლება. ინტერვიუს დროს კათედრის წევრებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის დაგეგმვისას ისინი ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილებები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** სკოლას სამივე საფეხურიზე აქვს გამართული სასკოლო კურიკულუმები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიანი სამიზნე ცნებები, მისაღწევი შედეგები, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.

	კურიკულუმები შეესაბამება ესგ -ს მიხედვით წარმოდგენილ თემებს და სკითხებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	ზოგასდაგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა ქართული ენისა და ლიტერატურის სამივე საფეხურის კურიკულუმები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია სწავლების კონტრუქტივისტულ პრინციპები, სავალდებულო თემები, გრძელვადიანი და შუალედური მიზანი. კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეზე, შემოქმედებითი დავალებები უზრუნველყოფს ცოდნის სამი კატეგორიის (დეკლარატიულის, პროცედურულის, პირობისეული) გამოყენებას, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებასა და გრძელვადიანი მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმი, რომელიც შემუშავებულია საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს.კერძოდ, რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს და რა უნდა იცოდეს. მასში გაწერილია ის გზები და საშუალებები, რომლის საფუძველზე ხერხდება დასახული მიზნის მიღწევა. კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი თემები, სამიზნე ცნებები, შემოქმედებითი დავალებების იდეები, რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ გრძელვადიანი მიზნების მიღწევის საშუალებებს. დაგეგმილი და შემუშავებული კურიკულუმის განხორციელების ვალდებულება ამტკიცებს მოსაზრებას , რომ კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის წარმართვის და განვითარების გზას, რაც დადასტურდა კიდეც კათედრის წევრებთან გასაუბრებისას **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში შემუშავებული კურიკულუმები სამივე საფეხურზე წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის, ორგანიზებისა და უწყვეტი განვითარების გზას, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალური და პიროვნული უნარების განვითარებას. **დაწყებით საფეხურზე** ფიზიკური აღზრდის კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მოიცავს ძირითად ფიზიკურ აქტივობებს, უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების განვითარების საფუძველს, წარმოდგენილი თემები — მძლეოსნობა და ტანვარჯიში

	— შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს საბაზისო მოძრაობითი უნარების ჩამოყალიბებას. თუმცა კურიკულუმში წარმოდგენილი გასართობი თამაშები მძლეოსნობისა და ტანვარჯიშის ელემენტებით დამოუკიდებელ თემადაა გაწერილი. თუმცა აღნიშნული აქტივობები წარმოადგენს არსებული თემების განმეორებას, რაც შეზღუდავს თემატურ მრავალფეროვნებას და მოსწავლეთა მოძრაობითი უნარების სხვადასხვა ასპექტის განვითარების შესაძლებლობას.ამიტომ **რჩევა:** სასურველია, I-II კლასში სასწავლო პროცესში აღნიშნული თემის, გასართობი თამაშები მძლეოსნობის და ტანვარჯიშის ელემენტების, ჩანაცვლება სხვა თემით, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი უნარების განვითარებას და თემატურ მრავალფეროვნებას. ისეთი აქტივობების დანერგვას, რომლებიც უზრუნველყოფს მანიპულაციური უნარების, ასევე კოორდინაციული და გუნდური მოქმედებების მრავალმხრივ განვითარებას . ასევე III კლასში თემების გამრავალფეროვნება დამატებითი ფიზიკური აქტივობებისა და სპორტული მიმართულებების ინტეგრირებით. ზემოაღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს კურიკულუმის მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულად ჩამოყალიბებას, გააძლიერებს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების უფრო სრულყოფილ მხარდაჭერას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი დავალების იდეები კომპლექსური ბუნებისაა და ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და გახორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. ჩანს, რომ სკოლას და მასწავლებელს აქვს მზაობა სწორედ დაგეგმონ სასწავლო პროცესი, ორიენტირება

	მოახდინონ გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განსაზღვრონ საფეხურის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო წარმოადგენს მესამე თაობის ესგ-ს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებსა და საშუალებებს, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარებისათვის. კურიკულუმის ჩარჩო ორიენტირებულია სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე. კურიკულუმებში გაწერილია საგნობრივი სტანდარტების მიხედვით გაწერილია თემები და გრძელვადიანი სამიზნე ცნებები. შუალედურ მიზნებად მოაზრებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით. **რჩევა:** ქართულ ენასა და ლიტერატურაში I კლასის კურიკულუმი მოიცავდეს წლიურ სასწავლო პროგრამას, დაემატოს სასწავლო თემები და აისახოს მისი შესწავლის გზა. ბუნებისმეტყველებაში II-III-IV კლასში ჩასწორდეს სასწავლო თემები სტანდარტის შესაბამისად. საგან მე და საზოგადოებაში მითითებულ იქნას სასწავლო საკითხები . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო საგნებში შემუშავებული კურიკულუმები ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, საგნებში სწორადაა განსაზღვრული სავალდებულო თემები,რამდენიმე უზუსტობის გარდა. (მაგ: ფიზიკა VIII და X კლ.) თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნებები მიმართულია სამიზნე ცნებასა და საკითხზე, შერჩეული კომპლექსური დავალებების დამუშავება შესაძლებლობას მისცემს მოსწავლეს განუვითარდეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარები. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს, ძირითადად, სწორად აქვთ გააზრებული, როგორ არის ამ უნარების განვითარება შესაძლებელი კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის შედეგად.

	ესგ-თი განსაზღვრული მიზნების მიღწევას ემსახურება განხორციელებული პროექტები: ფიზიკაში-"ჭოჭონაქი-მარტივი მექანიზმი";ბიოლოგიაში-"ძვლის შედგენილობა". მე-6 კლასში განახორციელეს მინი-პროექტი "მინა". მე-4 კლასში-პროექტული ტიპის დავალება "წყლის წვეთის მოგზაურობა". პედაგოგთა განმარტებით, სამომავლოდ დაგეგმილია რამდენიმე მსგავსი აქტივობა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	წარმოდგენილი კურიკულუმი სრულად თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მოთხოვნებთან. სასწავლო თემები სტრუქტურირებულია სამიზნე ცნებების გარშემო, ხოლო დაგეგმილი კომპლექსური დავალებები იძლევა მოსწავლის მიერ ფუნქციური ცოდნის კონსტრუირების შესაძლებლობას. კურიკულუმში მკაფიოდ არის გაწერილი კავშირები გრძელვადიან მიზნებსა და ყოველდღიურ აქტივობებს შორის. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის კურიკულუმი მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. ესგ-ს მოთხოვნის შესაბამისად, განსაზღვრულია აუცილებელი თემები. **რჩევა:** • სწავლა-სწავლების პროცესი უფრო სტრუქტურირებული და თანმიმდევრული რომ გახდეს კურიკულემებში სასურველია დაემატოს ქვეცნებები და ქვესაკითხები, რათა განისაზღვროს თუ როგორ უკავშირდება ძირითადი სამიზნე ცნება სხვა უნარებსა და ცოდნას. • სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს შუალედური მიზნის მისაღწევი სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი აქტივობა, რომელიც იძლევა ცოდნის ტრანსფერის, სამიზნე ცნებათა დაკავშირების და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის საშუალებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** კურიკულუმები ითვალისწინებს გრძელვადიანი მიზნებს, რომლებიც მოცემულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში. კურიკულუმში მოცემულია ის სავალდებულო ან და სარეკომენდაციო თემები, რომელიც გათვალისწინებულია საგნობრივი სტანდარტების მუსიკა/ხელოვნების მიხედვით. წარმოდგენილი კურიკულუმით გათვალისწინებული

	თემების სტანდარტის შესაბამისად განხორციელების შემთხვევაში პედაგოგები სამივე საფეხურზე შეძლებენ სრულყოფილად მიზანზე გასვლას. **რჩევა**: წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რომელიც მოიცავს პროექტულ სწავლებას, მუსიკაში, X კლასში შესასრულებლად წარმოდგენილია მთელი სასწავლო წლის მანძილზე 3 თემა, თუმცა ესგ-ს მიხედვით, მხოლოდ ორი თემა უნდა დამუშავდეს. სასურველია, წაიშალოს ერთი თემა და კურიკულუმიც გასწორდეს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის (ერთ კათედრაშია გაერთიანებული სახელმწიფო ენა და საზოგადოებრივი მეცნიერებები) მიერ წარმოდგენილი ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმში შემოქმედებითი ტიპის დავალებები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ უზრუნველყოფს გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებასა და ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	კურიკულუმში წარმოდგენილი თითოეული კომპონენტები იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევის შესაძლებლობას. სწავლა-სწავლების გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირად არის სამიზნე ცნებები და შედეგები, ჩანს ამ ცნებების იერარქიული კავშირში ერთმანთთან. მოცემულია საკითხი/საკითხთა კლასტერი, კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც, ამუშავებს სამიზნე ცნებებს და უზრუნველყოფს მათ საფუძვლიანად შესწავლას. ამავე დროს ორიენტირებულია სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე და ხელს უწყობს ისეთ ფუნქციური უნარების განვითარებას, როგორიცაა: კრიტიკული, შემოქმედებიითი, კომუნიკაციის, თანამშრომლობით, მოქალაქეობრივი და ნებელობის უნარების განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად. კურიკულუმები სტრუქტურულად მოიცავს ყველა სავალდებულო კომპონენტს:

	სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და შემოქმედებით დავალებებს. სპორტის კურიკულუმი დაწყებით საფეხურზე მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების განვითარებას ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესში წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს საბაზისო მოძრაობითი უნარების ჩამოყალიბებას და მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას. ამასთანავე, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმებში არ არის წარმოდგენილი ისეთი მიმართულება, რომელიც სისტემურად მოიცავს მოძრაობითი უნარების ფართო სპექტრს. მძლეოსნობა, როგორც სპორტის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, აერთიანებს სირბილს, ხტომას და ტყორცნას, რაც წარმოადგენს ფიზიკური განვითარების საფუძველს და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა მრავალმხრივი უნარების ჩამოყალიბებაში. **რჩევა:** სასურველია, საბაზო და საშუალო საფეხურებზე კურიკულუმს დაემატოს მძლეოსნობის თემა, რომელიც მოიცავს სირბილის, ხტომისა და ტყორცნის ელემენტებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების სისტემურ განვითარებას. ხოლო დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ძირითადი პრინციპების გაცნობიერების მიზნით დაინერგოს ისეთი თემების სწავლება როგორიცაა, ჰიგიენა, ჯანსაღი კვება, მავნე ჩვევები და სხვა. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. კომპლექსური ბუნების დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, ციფრული მოქალაქეობა. ჩანს, რომ მასწავლებელი იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. თუმცა მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში სამიზნე ცნების გრაფაში, ნაცვლად სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპებისა“, წერია „კომპიუტერის აგებულება“. მოცემულ შემთხვევაში თემა, საკითხი, დავალების იდეა შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების

	ფორმულირებაა არასწორი. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.** **რჩევა:** 1. სასურველია კურიკულუმის ჩარჩოში ცალკე იყოს მიმართულების გრაფა. 2. მე-2 და მე-3 კლასის კურიკულუმის ჩარჩოში, სამიზნე ცნების გრაფაში „კომპიუტერის აგებულება“ ნაცვლად უნდა ეწეროს სამიზნე ცნება „კომპიუტერის ფუნქციონირების პრინციპები“. მოცემულ შემთხვევაში თემა, საკითხი, დავალების იდეა შინაარსობრივად სწორადაა აგებული, თუმცა ცნებების ფორმულირებაა არასწორი. საჭიროა სკოლამ სამიზნე ცნებების ფორმულირება მოახდინოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	ივსება მხოლოდ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დაწყებითი საფეხურისთვისდაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში არის კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს, ქვეცნებებსა და საგნობრივ საკითხებს შორის. მასწავლებლებმა სავალდებულო თემების მიხედვით განსაზღვრულია გრძელვადიანი მიზნები. **რჩევა:** ქართულ ენასა და ლიტერატურაში III -IV კლასის კურიკულუმებში გაიწეროს სამიზნე ცნებები და საკითხები. ასევე I კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში გაიწეროს სასწავლო მიზნები და მიზნის მიღწევის გზა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	კურიკულუმში მითითებული რესურსების ჩამონათვალი უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.გარდა ძირითადი და რეკომენდებული რესურსებისა, როგორიცაა გრიფირებული სახელმძღვანელოები, ტელესკოლის გაკვეთილები, პედაგოგები ასევე იყენებენ სხვადასხვა ვიდეორესურსებს, (მაგ: ვიდეო-ექსპერიმენტი ფოტოსინთეზზე დაკვირვების პროცესში).

	ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები (სახელმძღვანელოები,წყაროები, ციფრული მასალები) შინაარსობრივად მიემართება სწავლის შედეგებს. დაწესებულება უზრუნველყოფს გარემოს, სადაც რესურსების მრავალფეროვნება ხელს უწყობს მოსწავლის მიერ დამოუკიდებელი კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარებას. **რჩევა:** სასურველია რესურსების ბანკის პერიოდული განახლება აქტუალური სოციალურ-პოლიტიკური კვლევებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
უცხოური ენები	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსები (მაგ. სახელმძღვანელოები, დამატებითი რესურსები, ციფრული მასალები) მიზანმიმართულად არის შერჩეული და ორგანიზებული იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს კურიკულუმში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. მასწავლებლებმა ინტერვიუზე აღნიშნეს, რომ თავადაც ქმნიან ციფრულ რესურსებს მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა მრავალფეროვანი გახადონ სწავლების პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** სამივე საფეხურის კურიკულუმში ვხვდებით ელექტრონული რესურსების ლინკებს. ასევე გრიფირებული სახელმძღვანელოების ჩამონათვალს გვერდების მითითებით. ელ. რესურსი მრავლადაა მითითებული საბაზო საფეხურზე ხელოვნებაში. მითითებული ვებ. გვერდების უმეტესობა მოქმედია და ხელს უწყობს მოსწავლეს საკითხის შესწავლაში. ემსახურება ცნებების უკეთ გააზრებას და კურიკულუმში დასახული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.** **რჩევა:** I, II, III, IV, V კლასის მუსიკის კურიკულუმში, რესურსების სვეტში არაა მითითებული სახელმძღვანელო, მხოლოდ სამინისტროს რესურსებია. საჭიროა რესურსების შესაბამის სვეტში მოცემული იყოს გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოც და თემის შესაბამისი გვერდების მითითებაც.
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმის განხორციელებისას იყენებენ გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, დამხმარე სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ

	რესურსებს. გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად კურიკულუმებში უხვადაა ჩაშენებული ელექტრონული მასალა (ფილმები, საშინაო სკოლის გაკვეთილები, სტატიები, გრაფიკული მაორგანიზებლები), რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სწავლების შედეგების მიღწევას. სასურველია, მეათე და მეთერთმეტე კლასის კურიკულუმებშიც აისახოს ელექტრონული რესურსები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში, შემოქმედებითი პროდუქტების შესაბამისად, მითითებულია რესურსები დავალებაზე მუშაობისათვის. კურიკულუმებში დეტალურადაა წარმოდგენილი რესურსები არა მხოლოდ შემოქმედებით დავალებებზე მუშაობისათვის, არამედ, იმ საკითხების შესაბამისად, რომელსაც ამუშავებენ წლის მანძილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, ძირითადად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო პროცესში გამოყენებული გრიფმინიჭებული წიგნები, სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარი და აქტივობები შეესაბამება ასაკობრივ თავისებურებებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ აქტიურ ჩართულობასა და პრაქტიკული გამოცდილების მიღებას.რესურსების გამოყენება მიმართულია საბაზისო მოძრაობითი უნარების განვითარებაზე, რაც ქმნის საფუძველს კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატოი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასკოლო კურიკულუმებში ძირითადად წარმოდგენილი აქვთ სახელმძღვანელოები და რვეული, გრაფიკული მაორგანიზებლები, ტელესკოლის გაკვეთილები, ასევე მითითებულია

	ბმულები. გასაუბრების პროცესში პედაგოგები საუბრობდნენ იმ ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, რომლებსაც იყენებენ სწავლა-სწავლების პროცესში. **რჩევა:** ქართული ენისა და ლიტერატურის I-II კლასში შეიტანონ ელ. რესურსები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა სკოლას აქვს მზაობა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შესაბამისი ინკლუზიური განათლების კოორდინირება. . გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები გარკვეულწილად იცნობენ დიფერენცირებულ მიდგომებს. შეფასების რუბრიკების არსებული მრავალფეროვნება საშუალებას მისცემთ მათ ადვილად მოახდინონ როგორც შესასწავლი საკითხების, ასევე რესურსების და შეფასების სქემის სათანადოდ ადაპტირება. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სსსმ მოსწავლე წარმოდგენილ სკოლაში არ ირიცხება, მაგრამ მიუხედავად იმისა წარმოდგენილი კურიკულუმი და საგაკვეთილო გეგმები იძლევა დიფერენცირებული სწავლების შესაძლებლობას. ადვილად მოახდენენ შეფასების, საკითხების და რესურსების ადაპტირებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს სსსმ მოსწავლე, თუმცა მასწავლებლები გამოხატავენ მზაობას უზრუნველყონ სასწავლო პროცესი სწავლების დიფერენცირებული მიდგომებით. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ამ ეტაპზე არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, ამის გამო დოკუმენტაციაში არ გვხვდება შესაბამისი მასალა, თუმცა სკოლა გამოხატავს მზაობას საჭიროების შემთხვევაში ინკულუზიური სწავლებისთვის. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, თუმცა ზოგასაგნმანათლებლო დაწესებულებას აქვს მზაობა, უზრუნველყოს შესაბამისი უსაფრთხო გარემო და ინკლუზიური განათლება

	საჭიროებისას. გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები იცნობენ და სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, რომ დიფერენცირებულ მიდგომების ხშირად მიმართონ. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე კათედრის წევრებთან გასაუბრებით, დასტურდება, რომ სასკოლო საზოგადოების უმთავრესი მიზანია სკოლის თითოეულ მოსწავლეს ხელი მიუწვდებოდეს ხარისხიან განათლებაზე. სკოლაში შეიქმნას მათზე მორგებული სასწავლო გარემო,სადაც მოსწავლე შეძლებს თავისი ინტერესების დაკმაყოფილებას, შესაძლებლობების რეალიზებას . სწორედ ამ მიზანს ემსახურება, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლის დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს: სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა სურვილები, შესაძლებლობები და უნარები. რის მტკიცებულებას წარმოადგენს ის, რომ მოსწავლეს სთავაზობენ სხვადასხვა შემოქმედებით დავალებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	სასწავლო პროცესი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მიმართულებით ორგანიზებულია ინკლუზიურობის დაცვით ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. გასაუბრებიდან გამომდინარე ვლინდება, რომ სწავლების პროცესში გამოიყენება დიფერენცირებული მიდგომები, რაც გამოიხატება აქტივობების ადაპტირებაში მოსწავლეთა შესაძლებლობების, ფიზიკური მომზადებისა და ინტერესების შესაბამისად. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას და უზრუნველყოფს მათთვის ხელმისაწვდომ სასწავლო გარემოს შექმნას. მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეასრულონ დავალებები განსხვავებული სირთულის დონეებზე, რაც ხელს უწყობს როგორც სუსტი, ისე უფრო მაღალი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა განვითარებას. ინკლუზიური გარემო ასევე უწყობს ხელს თანამშრომლობის, ურთიერთპატივისცემისა და სოციალური უნარების განვითარებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიების პედაგოგთან გასაუბრებით დადგინდა რომ, დამუშავებული თემების და საკითხების, განვლილი გამოცდილების, მოსწავლეთა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების გათვალისწინებით გეგემავს ყოველ მომდევნო სასწავლო წელს. ინტერვიურების დროს ჩანდა მასწავლებლის მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებასთან მიმართებაში.მასწავლებლის მიერ წარმოდგენილ დავალებაში, ნათლად ჩანს მოსწავლეთა დიფერენცირება. ამ ეტაპზე სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, არის მცირეკონტინგენტიანი სკოლა რაც დიფერენცირების და ინდივიდუალური შესაძლებლობის გათვალისწინების შესაძლებლობას ზრდის. დავალებები და მათზე მუშაობის პროცესის აღწერა მოწმობსრომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, გარკვეულწილად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. კრიტერიუმები ისეა გაწერილი, რომ აჩვენოს როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი; „მაღალი, საშუალო, დაბალი“- ასეთია განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში (პრობლემაზე ორიენტირებული სიტუაციური ამოცანის , კვლევითი სამუშაოს, მონაცემების განსჯის სქემის, ცოცხალი სისტემის მოდელის შექმნისა და გამოყენების შეფასების რუბრიკებში) დონეების რანჟირება და როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, ასეთი რუბრიკები უფრო გამარტივებულ ვერსიას წარმოადგენს მათთვის და მოსწავლისთვის აღსაქმელად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი მოსწავლის შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. სასწავლო პროცესში დომინირებს განმსაზღვრელი შეფასება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე. კომპლექსური დავალებების შეფასებისას გამოიყენება განმსაზღვრელი/განმავითარებელიშეფასების პრინციპები, რაც საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს მოსწავლის მიერ სამიზნე ცნებების დაუფლების დონე. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ორიენტირებულია ფუნქციური უნარების განვითარებაზე **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენის კათედრის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს ენობრივი უნარ-ჩვევები, გამოვლენილ იქნას მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები. **რჩევა:** საურველია, შემაჯამებელი დავალების რუბრიკები იყოს უფრო დეტალური და ინფორმაციული, შეესაბამებოდეს კურიკულუმში წარმოდგენილ სამიზნე ცნებებს და თანხვედრაში იყოს სტანდარტიდან გამომდინარე საფეხურის კლასებისათვის შესაბამის თემებთან და საკითხებთან. შეფასების რუბრიკებით უნდა მოხდეს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტირება მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** სკოლის მხრიდან წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამომდინარეობს თემებიდან. თუმცა მისი ფორმა ძირითად შემთხვევაში შაბლონურ ხასიათს ატარებს. მაგ. როგორიცაა მეშვიდე კლასის განმსაზღვრელი შეფასება მუსიკაში. თუმცა დოკუმენტებში ვხვდებით რამდენიმე კარგად გაწერილ შეფასების რუბრიკას, რომელიც მორგებულია კონკრეტულ თემას და საკითხს, ასევე ჩანს სამიზნე ცნებებიც, აქედან გამომდინარე ვთვლი, რომ სკოლას აქვს რესურსი შეიმუშავოს შესაბამის კლასებში, სამივე საფეხურზე მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები.

	რჩევა: სასურველია, შეფასების რუბრიკები გამომდინარეობდეს კონკრეტული თემისგან და გაწერილი იყოს შესაბამისი კრიტერიუმები, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება შეაფასოს მოსწავლის პროგრესი და მისი ცონდის დონე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას წარმოდგენილი აქვს ქართული ენისა და ლიტერატურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურზე, რომლებიც მიემართება კონკრეტულ შემოქმედებითი ტიპის დავალებას. შეფასების რუბრიკები კორელაციაშია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებთან. ასევე გადმოგზავნილია ზოგადი სახის შეფასების რუბრიკები, დიაგნოსტიკური წერის ნიმუშები, შეფასების ვერიფიკაციის ნიმუშები, შეფასების ვერიფიკაციის მექნიზმი, რომელიც შეფასების სისტემის მხარდამჭერი ინსტრუმენტია. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	დოკუმენტების შესწავლისას გამოვლინდა და პედაგოგებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ ისინი იყენებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. წარმოდგენილ რუბრიკები ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებს და ამოცანებს. მათ წარმოადგინეს რუბრიკები ზოგიერთი თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებების შესაბამისად, თუმცა, სასურველია, რომ ეს პრაქტიკა გავრცელდეს ყველა იმ დავალებაზე, რომელსაც შეიტანენ მომავალი წლის კურიკულუმში. თითოეული დავალების ფარგლებში შექმნან და გამოიყენონ შეფასების რუბრიკები, რომლებიც დაეფუძნება თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	შემუშავებული შეფასების რუბრიკებიდან ვლინდება, რომ მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და მიმართულია მოსწავლეთა განვითარებაზე. შეფასება ეფუძნება როგორც პროცესის, ისე შედეგის ანალიზს და ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და პროგრესს. სასწავლო პროცესში გამოყენებულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი ტიპის შეფასება. განმავითარებელი შეფასება

	მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ უკუკავშირი და გააუმჯობესონ საკუთარი შესრულება. შეფასების კრიტერიუმები ძირითადად შეესაბამება სასწავლო მიზნებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიღწევების ობიექტურ შეფასებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს, ასევე წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების ორი რუბრიკა, რომლებიც შედარებით ზოგადია. ერთ დოკუმენტში მოცემული შეფასების რუბრიკა შეიცავს როგორც განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმებს, დონეებს და აღწერას, ასევე დოკუმენტის ბოლოს მოცემულია ქულების სკალა, რაც უფრო განმსაზღვრელ შეფასების რუბრიკას ახასიათებს. მეორე დოკუმენტი უფრო წარმოადგენს საგნობრივი სტანდარტიდან ამონარიდს. შეიცავს: მიმართულებას, სამიზნე ცნებებს და შედეგებს. ეს უფრო არის განმავითარებელი შეფასების ცხრილი/დაკვირვების ფორმა, მაგრამ შეფასების რუბრიკის სტრუქტურა არ აქვს. გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს, რომ მასწავლებელს ზოგადად აქვს ხედვა როგორ მოხდეს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების წარმოება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. **რჩევა:** სასურველია, განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი იყოს კონკრეტულად, რომელიც უნდა დაეფუძნოს სამიზნე ცნებებსა და სწავლის შედეგებს, კრიტერიუმები იყოს მკაფიო და კონკრეტული, თითოეულ კრიტერიუმს ჰქონდეს შესრულების დონეები, მოიცავდეს უკუკავშირის სივრცეს, იყოს ორიენტირებული მოსწავლის პროგრესზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილია შემოქმედებითი პროდუქტის შეფასების რუბრიკები. რუბრიკები საშუალებას იძლევა შეფასდეს მიზნის მიღწევა. არის ზოგადი სახის რუბრიკები რომელთა საკითხის მიხედვით დაკონკრეტებაა შესაძელებელი და არის სამდონიანი შეფასებები მაგ. ქართულში რომელსაც გრძელვადიან მიზანთან მორგებაა შესაძლებელი

	<u>რჩევა:</u> სასურველია, შეფასებების რუბრიკები დაიხვეწოს ცნებებთან და ქვეცნებებთან მიმართებით, მოერგოს კონკრეტული საკითხს და დავალებას. შეფასდეს ამ დავალებაში წარმოდგენილი მოთხოვნები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ბრძ. N 01-03/92. 11/09/2025.*
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სამივე საფეხურისთვის სხვადასხვა მიმართულებით.*
- კათედრების ოქმები;
- მოსწავლეთა ნამუშევრები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი იგეგმება კურიკულუმის შესაბამისად, თუმცა შესაძლოა, საჭიროების შემთხვევაში შეიტანონ მასში ცვლილებები. კურიკულუმი ეყრდნობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს. სასწავლო პროცესში სხვადასხვა საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნა, მოსწავლეს აძლევს ცოდნის ტრანსფერის საშუალებას ცხოვრებისეულ პრაქტიკაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ითვალისწინებს მოსწავლეთა ავტონომიურობასა და აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი სკოლაში წარიმართება დამტკიცებული სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად, რომელიც ასახულია კატედრის გეგმაში და სასკოლო სასწავლო გეგმაში. საგაკვეთილო პროცესი სტრუქტურირებულია თემატური მატრიცების მიხედვით, სადაც აქცენტი კეთდება სამიზნე ცნებების დაუფლებაზე. კომპლექსური დავალებები ინტეგრირებულია სასწავლო ციკლში და მათი განხორციელების ეტაპები ლოგიკურ კავშირშია კურიკულუმით განსაზღვრულ აქტივობებთან. მასწავლებლები ავლენენ კურიკულუმის პრაქტიკაში რეალიზების მაღალ კომპეტენციას, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	წარმოდგენილი მასალებითა და მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებისა და სტრუქტურის შესაბამისად. განხორციელებული აქტივობები, თემატური ერთეულები და სწავლების მიზნები თანხვედრაშია კურიკულუმში განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** კურიკულუმში სამივე საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში გათვალისწინებულია თემებზე მორგებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**

სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობს კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმის განხორციელების მხარდამჭერი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაა, რომელიც უწყვეტი, ციკლური პროცესია, იგი მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებასა და რეფლექსიას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეთა საჭიროებისა და ინტერესების გათვალისწინებით გეგმავენ სასწავლო პროცეს. ისინი კათედრაზე თანამშრომლობით გეგმავენ და ახორციელებენ კურიკულუმებს, უწევენ რევიზაის და შეაქავთ ცვლილებები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	წარმოდგენილ შემოქმედებით პროდუქტებზე დაკვირვებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი ხორციელდება დაგეგმილის შესაბამისად. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სწავლებისას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დავალებებს არჩევენ ისე, რომ მისი შესრულება საინტერესო და ამავდროულად დაძლევადი იყოს მოსწავლეებისათვის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა დ ა სპორტში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. შერჩეული თემები შეესაბამისობაშია სკოლაში არსებულ სპორტულ ინფრასტრუქტურასთან, რაც საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესი იყოს პრაქტიკულად განხორციელებადი და უსაფრთხო მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში, სასწავლო პროცესი დაეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით და მასწავლებლებთან ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ახორცილებენ იმ კურიკულუმებს, რომლებიც შემუშავებული აქვთ. წლის დასაწყისში და ბოლოს ხდება კათედრის შეხვედრა და

	კურიკულუმების განხილვა. ასევე წარმოდგენილი აქვთ განხორციელებული დავალების მტკიცებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლას შიდა მარეგულირებელ დოკუმენტაციაში (სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილი და მართვის პოლიტიკა) გაწერილი აქვს სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტაცია განსაზღვრავს ადამიანური რესურსის მართვის პრინციპებს ფორსმაჟორულ სიტუაციებში, მათ შორის მასწავლებლის ჩანაცვლებისა და საგაკვეთილო ცხრილის ოპერატიული ცვლილების წესებს. სკოლის მიერ შემუშავებული მიდგომა ორიენტირებულია აკადემიური კალენდრის დაცვაზე. იმ შემთხვევაში, თუ ირღვევა განსაზღვრული სასწავლო დღეები, მექანიზმი ითვალისწინებს საათების აღდგენის ან გადაგეგმვის მკაფიო პროცედურას. მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, ჩანაცვლების სისტემა ეფუძნება საგნობრივი კომპეტენციების შესაბამისობას, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესის შინაარსობრივ წყვეტას. სკოლის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს გარემო პირობების ცვლილებისას სწავლის შედეგების მიღწევის სტაბილურობას. შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების მექანიზმები არის ქმედითი და ადეკვატური.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	დოკუმენტაციაში წარმოდგენილი შეფასების სისტემა ითვალისწინებს მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესებს და პირობებს. კათედრაზე წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება მოსწავლეთა ნამუშევრები. მოსწავლემ იცის რაში , როგორ და რის საფუძველზე აფასებენ, რაც შეფასების პროცესის ობიექტურად წარმართვას უწყობს ხელს. კათედრას შემუშავებული აქვს შემაჯამებელი სამუშაოს შედეგების ანალიზის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირების და პრობლემის აღმოფხვრის/გაუმჯობესების გზების დადგენას. კათედრაზე ხდება გამოცდილებების გაზიარება ამ მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**

საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში მოქმედი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპებს. კათედრასთან შეხვედრის დროს აღნიშნეს პედაგოგებმა , რომ შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის ცნობილი მოსწავლეებისთვის. შეფასება პირდაპირ კავშირშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან. დანერგილი ვერიფიკაციის მექანიზმები და რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურობასა და სანდოობას. სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ მიღწევების ფიქსაციაზე, არამედ მოსწავლის შემდგომი განვითარების სტიმულირებაზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ხარისხობრივ კრიტერიუმებს. სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. მტკიცებულებად წარმოდგენილია რუბრიკები და შეფასების ნიმუშები, რომლებიც ადასტურებს სისტემის მთლიანობასა და შესაბამისობას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, გაწერილია კრიტერიუმები. თუმცა შეფასების რუბრიკა ზოგად ხასიათს ატარებს, (მაგ. VII კლასი) რომელიც მოითხოვს უფრო დეტალურად გაწერას და კონკრეტულ თემებზე, საკითხებზე და ცნებებზე მორგებას რომ მოსწავლემ შეძლოს საკუთარი მიღწევების დონის შეფასება, ხოლო მასწავლებელმა ობიექტურად შეაფასოს მოსწავლის ცოდნა და უნარები. ასევე დოკუმენტაციაში წარმოდგენილია მასწავლებელთა ურთიერთშეფასება და თვითშეფასება, რომელიც შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ფასდება. თვითონ ფორმა ეფექტური დოკუმენტია სასწავლო პროცესში, თუმცა დასახვეწია, რადგან საჭიროებს რეფლექსიას, რა გააუმჯობესოს მასწავლებელმა სწავლების დროს, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა სწავლების ხარისხზე. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილია როგორ იგეგმება და მიმდინარეობს ვერიფიკაციის პროცესი, ვინ იქნება განმახორციელებელი პირი და რა ეტაპებს გადის პროცესი. კათედრამ ასევე წარმოადგინა ურთიერთდაკვირვების ფორმა, თვითშეფასება, განმავითარებელი და

	განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, შეფასების ვერიფიკაციისა და დიაგნოსტიკური წერის ნიმუში. ყოველივე ეს მიუთითებს, რომ შეფასების სისიტემა იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მატემატიკის კათედრაზე იქმნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც ეყრდნობა საგნობრივ სტადარტების ინდიკატორებსა და შედეგებს.შეფასება ხორციელდება გძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაყრდნობით. შეფასების რუბრიკები შესაბამისია ასაკის. მოსწავლეები ეცნობიან შეფასების რუბრიკებს, რომლებიც შედგენილია ობიექტურად სამართლიანობის პრინციპის დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	კათედრის მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებს და მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო პროცესში გამოყენებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების სისტემა ეფუძნება ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების რუბრიკები წინასწარ არის განსაზღვრული და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის, რაც ეხმარება მათ საკუთარი მიღწევების გააზრებაში. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება უნდა იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	წამროდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, ზოგადი სახით ასევე დონეების მიხედვით დაყოფილი, რაც ცხადყოფს იმას, რომ კათედრა იყენებს სხვადასხვა სახის შეფასებას.

	რჩევა: შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობის გასაზრდელად გაიცა რჩევა რომ რუბრიკები გახდეს კოკნრეტული, გრძელვადიან ცნებასა და შერჩეულ საკითხზე მორგებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი“ (ბრძანება N01-03/101). დოკუმენტი დეტალურად აღწერს ვერიფიკაციის მიზნებს, ამოცანებსა და პროცედურებს (ინსტრუმენტის, პროცესისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია). განსაზღვრულია რისკების სისტემაზე დაფუძნებული შერჩევის პრინციპი და ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მექანიზმი. მექანიზმი ითვალისწინებს შინაარსობრივ ექსპერტიზას საგნობრივი კათედრების დონეზე, რაც აძლიერებს ვერიფიკაციის ხარისხს. ვერიფიკაციის ციკლი (დასკვნა, სამოქმედო გეგმა, მონიტორინგი) უზრუნველყოფს ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას. სკოლაში არსებული ვერიფიკაციის მექანიზმი არის სისტემური, ლოგიკურად გამართული და ქმნის შეფასების სისტემის ვალიდურობის დადასტურების მყარ საფუძველს.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით

სკოლაში განსაზღვრულია შეფასების მტკიცებულებების (წერითი ნამუშევრები, პროექტები...) აღრიცხვისა და არქივირების წესი. დოკუმენტაცია ინახება როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მოთხოვნების შესაბამისად. დადგენილია მტკიცებულებათა შენახვის მინიმუმ 3-წლიანი ვადა, რაც აუცილებელია მოსწავლის აკადემიური პროგრესის დინამიკაზე დაკვირვებისა და შესაძლო გასაჩივრების სამართლიანი გადაწყვეტისთვის. დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მონაცემთა აღრიცხვისა და შენახვის სისტემა არის მოწესრიგებული, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ მეხსიერებას და იურიდიულ გამართულობას.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი);*
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი (ბრძანება N01-03/101);
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
    - შემაჯამებლის შედეგების ანალიზის ფორმა;
    - გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების და კოლეგების ურთიერთშეფასების ფორმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გრძელვადიანი თუ მოკლევადიანი საგნობრივი მიზნის მიღწევისთვისაც აუცილებელია შესაბამისი ფორმატის დავალებების ფორმების (მაგ. შემოქმედებითი დავალების ბარათი), მათი განხორციელების გეგმებისა და შეფასების რუბრიკების შექმნა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად პედაგოგები იყენებენ კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებს : გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს , ტელესკოლის გაკვეთილებს, საკუთარი შესაძლებობებით მოძიებულ ვიდეორესურსებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე სასწავლო რესურსები. საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას მასწავლებლები ეფექტურად ახდენენ სახელმძღვანელოსა და დამატებითი წყაროების (რუკები, საარქივო დოკუმენტები, ციფრული მასალები) ინტეგრირებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა მხრიდან საკითხის მრავალმხრივ გააზრებას. რესურსები შერჩეულია

	მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით და პირდაპირ ემსახურება კომპლექსური დავალებების წარმატებით შესრულებასა და სწავლის შედეგების მიღწევას **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრა ძირითად რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, თუმცა კურიკულუმებში ასევე ასახულია დამხმარე ვიდეო რგოლები მოსწავლეთა ლექსიკურ–ენობრივი უნარების გაუმჯობესების კუთხით. **რჩევა:** სასურველია, უცხოური ენის სწავლების პროცესში რესურსების გამოყენება გახდეს უფრო მრავალფეროვანი და ინტერაქტიული. რესურსების კომბინაცია ქმნის ბალანსს სტრუქტურირებულ სწავლებასა და რეალურ ენობრივ გამოცდილებას შორის. მაგალითად, დაემატოს უფრო მეტი ციფრული პლატფორმები, რომელთა გამოყენება გააძლიერებს მოსწავლეთა ჩართულობას, მოტივაციას და უზრუნველყოფს კომუნიკაციური უნარების უფრო ეფექტიანად გამოყენებას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა, ხელოვნება:** წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს რომ სკოლა იყენებს ძირითად რესურსად გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოებს. რადგან სკოლა მცირეკონტიგენტიანია, პედაგოგთან გასაუბრებისას აღჩნდა, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესის პარალელურად სწავლობენ სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე დაკვრას ინდივიდუალურად. აქვთ ხალხურ საკრავთა ორკესტრი. იქ მიღებულ ცოდნას და უნარებს ავლენენ სკოლის მიერ გამართულ ღონისძიებებში. ასევე კურიკულუმებში ჩანს, რომ სკოლა აქტიურად იყენებს დამხმარე რესურსებად სხვადასხვა სახის სასწავლო მასალას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად და დამხმარე რესურსების სასწავლო პროცესში გამოყენებას უზრუნველყოფს სკოლა. კათედრის წევრმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ, მიუხედვად გეოგრაფიული მდებარეობისა, ელექტრონულ მასალას სასწავლო პროცესში იყენებენ შეუფერხებლად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

მათემატიკა	შესწავლილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა ტიპის რესურსებს მათემატიკაში, მითითებულია გრიფირებული სახელმძღვანელო და ზოგიერთ თემაში - დამხმარე რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სამივე საფეხურზე ჩაშენებულია და გამოყენებულია როგორც გრიფირებული, ასევე არაგრიფირებული, თუმცა თემატურად შესაბამისი და სასწავლო მიზნებთან თანხვედრილი რესურსები. გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო საკითხებისა და შედეგების სისტემურ წარმოდგენას. ამასთანავე, სასწავლო პროცესში გამოყენებული დამატებითი, არაგრიფირებული წიგნები რომლებიც თემის უკეთ გააზრებასა და საკითხის მრავალმხრივ განხილვას უწყობს ხელს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) განთავსებულია მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესში ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც ძირითადი ასევე დამხმარე რესურსების გამოყენება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად მითითებულია სახელმძღვანელოები, მეტ-ნაკლებად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **რჩევა:** კურიკულუმში აისახოს მრავალფეროვანი რესურსი, ელ-რესურსები, გრაფიკული მაორგანიზებლები, დამხმარე სახელმძღვანელოები **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, სასწავლო წლის დასაწყისში, კათედრა ეცნობა კოლეგების მიერ ინდივიდუალურად შერჩეულ რესურსებს, პედაგოგები საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით აღიარებენ მათ მიმართებას შესასწავლი თემებისა და საკითხებისადმი, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურზე**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში დანერგილია დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციის ქმედითი სისტემა. საგნობრივი კათედრები რეგულარულად ახორციელებენ სახელმძღვანელოს მიღმა გამოსაყენებელი მასალების (ციფრული რესურსები, არაფორმალურ გარემოში ჩატარებული გაკვეთილები, რომელიც კათედრაზე ერთობლივი შეთანხმებით იგეგმება) რევიზიას, რათა უზრუნველყონ მათი აკადემიური სიზუსტე და ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებთან შესაბამისობა. ვალიდაციის პროცესი ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რაც გამორიცხავს სასწავლო პროცესში არასანდო ან ასაკობრივად შეუსაბამო მასალების მოხვედრას. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ უცხოური ენების კათედრის წარმომადგენლები. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური აღზრდის მიმართულებით სასწავლო რესურსის ვალიდაციის რაიმე დოკუმენტი სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში არ იძება, თუმცა პედაგოგთან საუბრისას გამოიკვეთა რომ ზრუნავენ რესურსების განახლებაზე, ცდილობენ შესაბამისობაში იყოს სასწავლო თემებთან, ცნებებთან და სასწავლო რესურსი ემსახურებოდეს გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის პირველი სხდომის ოქმში ერთ-ერთი საკითხი, სწორედ, დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდურობის განხილვაა. აღნიშნულ საკითხს კათედრის წევრები

	განიხილავენ კათედრის სხდომაზე და შეთანხმებულად იღებენ გადაწყვეტილებას. შემდეგ დახმარე სასწავლო რესურსების ნუსხა დასამტკიცებლად გადაეცემა პედაგოგიურ საბჭოს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. კათედრებზე განიხილება ეს საკითხი და მიიღება შეთანხმებული გადაწყვეტილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და გასაუბრების შედეგებიდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად იყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას ახორციელებენ კათედრაზე, სადაც მოწმდება, რომ ეს თუ ის რესურსი რამდენად შეესაბამება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივი სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, ეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რადგან კურიკულუმები განხილულია და დამტკიცებულია სასკოლო სასწავლო გეგმით, აქედან გამომდინარე წარმოდგენილი რესურსები ვალიდურია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია სტანდარტთან და დაკმაყოფილებულია დაწყებით საფეხურზე.** **რჩევა:** სასურველია კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები სასწავლო წლის დაწყებისას საგნობრივი კათედრის ოქმშიც იყოს დანართის სახით წარმოდგენილი.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლაში დამხარე სასწავლო რესურსები მწირად აქვს წარმოდგენილი. **რჩევა:** კურიკულუმში დამხმარე სახელმძღვანელოები რომელთა ვალიდურობა შეფასდება კათედრაზე დამოწმდეს შესაბამისი ოქმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა მცირეკონტიგენტიანია, კურიკულუმში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და საჭიროებებზე მორგებული რესურსების გამოყენება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლას არ აქვს თანამედროვე სტანდარტების ლაბორატორია, გამწოვი კარადა, მინის ფარი სადემონსტრაციო სივრცის გამოსაყოფად. არც ძველი რესურსები არ მოეპოვებათ. ისინი განადგურდა ხანძრის დროს. ხანდახან ცდებზე და ექსპერიმენტებზე დასაკვირვებლად იყენებენ ვიდეორესურსებს. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს უშლის კურიკულუმის განხორციელებას საბაზო და საშუალო საფეხურზე. სკოლას განახორციელებული აქვს მიწერილობა ლაბორატორიის განახლების მიზნით შესაბამის რგოლთან. ***სკოლამ, ასევე, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას გეგმავს ორ წლამდე პერიოდში, რაც იწვევს ინდიკატორის ნაწილობრივ შესაბამისობას.*** საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი, დაკმაყოფილებულად ითვლება, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭო მიიჩნევს, რომ ამ დებულების 15^1 და 15^2 მუხლებით დადგენილი წესით, ოთხდონიანი სკალის მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელი სულ მცირე ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.“ აქედან გამომდინარე. *სკოლამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობას საჭირო ინვენტარით და ლაბორატორიის აღჭურვილობით გეგმავს 2027 წლის აპრილამდე. 12 თვემდე პერიოდში.*

	ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება საბაზო და საშუალო საფეხურზე შეუსაბამოდან გადაიტანა ***მეტწილ შესაბამისობაში.*** *სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - აპრილი, 2027) უზრუნველყოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა და აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით.* **ინდიკატორი დაწყებით საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სრულად შეესაბამება საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო თვალსაჩინოებებითა და ტექნოლოგიური რესურსებით, რაც ხელს უწყობს სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებას. დაცულია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, რაც ქმნის უსაფრთხო და კომფორტულ გარემოს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის. მატერიალური რესურსების განაწილება და ხელმისაწვდომობა თანაბარია ყველა მოსწავლისთვის, რაც ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
უცხოური ენები	კათედრის წევრებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ სკოლა უზრუნველყოფს მათ შესაბამისი მატერიალური რესურსებით, რათა შექმნან სასწავლო გარემო, რომელიც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	**მუსიკა/ხელოვნება:** ესთეტიკური კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმების, ურთიერთდასწრების, ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის საფუძველზე, შესაძლოა დავასკვნათ, რომ სკოლაში ყველა მოსწავლეს სამივე საფეხურზე შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ სკოლის მიერ შეთავაზებული აქტივობებით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**

სახელმწიფო ენა	სკოლას აქვს შესაბამიის მატერიალური რესურსი კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
მათემატიკა	სკოლას აქვს ყველა საჭირო მატერიალური რესურსი სასწავლო პროცესის გამართული ფუნქციონირებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია სამივე საფეხურისათვის**
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი სამივე საფეხურზე დაკმაყოფილებულია**
ტექნოლოგიები	კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებული კომპიუტერების რაოდენობა შეესაბამება კლასში მოსწავლეთა რაოდენობას. კომპიუტერების რაოდენობა საკმარისია იმისთვის, რომ საგაკვეთილო პროცესი მიმდინარეობდეს სრულფასოვნად. მოსწავლეები ასევე იყენებენ ბუკებს საშინაო დავალებების შესასრულებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

მასწავლებელთა კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, სკოლაში დასაქმებულ ერთ ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის მასწავლებელს არ უდასტურდება კვალიფიკაცია. ასევე, სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირები ასწავლიან საგანს "მე და საზოგადოება", "მოქალაქება", "სპორტი" და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში". წარმოდგენილი დოკუმენტაციით და მასწავლებელთა ვაკანსიების ვებ გვერდის შესწავლით დადგინდა, რომ სკოლამ სემესტრის დაწყებამდე გამოაცხადა კონკურსი ვაკანტური ადგილების შესავსებად, რომელშიც მონაწილეობა არ მიიღო სასურველმა კანდიდატურებმა, არც მაძიებლობის

მსურველმა პირებმა. ონლაინ სწავლების პირობით კი სკოლა არ განიხილავს კანდიდატურებს, რადგან, მათივე განმარტებით, ზამთრის პერიოდში, დიდთოვლობის პერიოდში სოფელს ელექტროენერგია ხშირად ვერ მიეწოდება და ონლაინ სწავლება პრაქტიკულად არაეფექტურია.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის "მე და საზოგადოება", "მოქალაქება", "სპორტის და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" მასწავლებლის ვაკანტურ საათებზე კონკურსის გამოცხადებას, კანონმდებლობის შესაბამისად საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიების შექმნას, კონკურსის ეტაპების განხორციელებას და შერჩეულ კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე. 12 თვემდე პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის დაწყებითი საფეხურისთვის უზრუნველყოს საგნების:ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, დაწყებითი I-IV კლასების სახელმწიფო ენისა და მათემატიკის და "მე და საზოგადოება" კვალიფიციური კადრების დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საბაზო საფეხურისთვის უზრუნველყოს ინგლისური ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, "მოქალაქება" და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (აპრილი, 2026 - სექტემბერი, 2026) სკოლის საშუალო საფეხურისთვის უზრუნველყოს „მოქალაქება", "სპორტი" და "პროექტი სამოქალაქო განათლებაში" კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმებისთვის შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მასწავლებელთა პირადი საქმეები;*
- *Emis -ის ბაზა;*
- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *საშუალო საფხეურის კურიკულუმები;*
- *შეფასების რუბრიკები;*
- *ლაბორატორიით სარგებლობის წესი 2025;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი არ/ვერ ფასდება.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლის მიდგომით, მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს საფუძველს რეაგირებისთვის. მეთოდოლოგიაში ხაზგასმულია, რომ გამოვლენილი ხარვეზები (მაგ. სწავლის შედეგების ვერმიღწევა ან რესურსების ნაკლებობა) უნდა აისახოს კურიკულუმის გადამუშავების პროცესში. სკოლას გააზრებული აქვს რეფლექსიის მნიშვნელობა მონიტორინგის პროცესში. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, რომ მეთოდოლოგიაში ჩადებული „შეფასება-განვითარების“ ფაზა იძლევა პრობლემის იდენტიფიცირებისა და მისი გადაჭრის (მაგ. დიფერენცირებული სწავლების გაძლიერება ან მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერა) შესაძლებლობას. ამ ეტაპზე ჩანს სკოლის მზაობა, მონიტორინგის სისტემა ორიენტირებულია არა მხოლოდ ხარვეზების აღმოჩენაზე, არამედ მათი აღმოფხვრის გზების ძიებაზე, რაც კურიკულუმის მოქნილობის გარანტიაა.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი მონიტორინგის პროცესს აკავშირებს პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. სკოლა მონიტორინგის შედეგებს იყენებს მასწავლებელთა საჭიროებების დასადგენად და მათი პროფესიული მხარდაჭერის დასაგეგმად. მონიტორინგი აქ აღქმულია როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. მაგალითად, თუ საგაკვეთილო დაკვირვებისას გამოიკვეთება სირთულეები სკოლა გეგმავს შესაბამის ტრენინგს ან სამუშაო შეხვედრას. ეს მიდგომა ამცირებს კონტროლს და აძლიერებს თანამშრომლობით კულტურას, სადაც მასწავლებელი მონიტორინგს ხედავს როგორც დახმარების მიღების საშუალებას. მონიტორინგის სისტემა პასუხობს „მხარდამჭერი შეფასების“ პრინციპს, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების პროფესიულ ზრდას და მოსწავლეთათვის პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ბრძ. N 01-03/92. 11/09/2025.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის წარმოდგენილ კურიკულუმებში (დაწყებითი გვ. 14, საბაზო გვ. 16) განსაზღვრულია, რომ სასწავლო პროცესის შეფასება არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური ნიშნებით. წყაროებად გამოყენებულია მოსწავლეთა თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის დაკვირვების ჩანაწერები და კომპლექსური დავალებების პროდუქტები. მრავალფეროვანი წყაროების გამოყენება იძლევა საშუალებას, მოსწავლის პროგრესი მასწავლებელმა დაინახოს არა მხოლოდ ცალკეული ნიშნის, არამედ მისი განვითარების დინამიკის ჭრილში. ეს მიდგომა ადასტურებს, რომ სკოლას აქვს მზაობა, დაინახოს სწავლის პროცესი მთლიანობაში. შეფასების წყაროების მრავალფეროვნება უზრუნველყოფს მონაცემთა ობიექტურობასა და მოსწავლის მიღწევების ყოველმხრივ ასახვას.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის წარმოდგენილი მეთოდოლოგიისა და კურიკულუმების მიხედვით შეფასება ხდება როგორც საკლასო, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და სოციალურ-ემოციურ გარემოს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლენას.

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლის შეფასების სისტემა მოიცავს რაოდენობრივ და თვისობრივ მეთოდებს: განმავითარებელ კომენტარებს, რუბრიკებს, პორტფოლიოებსა და დაკვირვების ფურცლებს. „ვერიფიკაციის მექანიზმში“ ასევე გაწერილია ამ მეთოდების ვალიდურობის შემოწმება. მონაცემთა შეგროვების მეთოდების მრავალფეროვნება (მაგ. სოლო ტაქსონომიის გამოყენება კომპლექსურ დავალებებში) აჩვენებს, რომ სკოლა არ ეყრდნობა მხოლოდ ზეპირ ან წერით გამოკითხვას. თვისობრივი მონაცემების (კომენტარების) არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან ეს აჩვენებს სკოლის ორიენტირებას სწავლის ხარისხზე და არა მხოლოდ სტატისტიკაზე. მრავალფეროვანი მეთოდები სკოლას აძლევს სანდო მტკიცებულებებს კურიკულუმის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

დოკუმენტაციით დასტურდება, რომ შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ძალისხმევას. სკოლა აფასებს არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს, არამედ მასზე მუშაობის პროცესს და მოსწავლის ინდივიდუალურ ზრდას, რაც შეფასებას ხდის სამართლიანს და მოტივაციაზე ორიენტირებულს.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;*
- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი;*
- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი).*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი არ/ვერ შეფასდა.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, აღნიშნული ინდიკატორი არ/ვერ შეფასდა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

თარიღი: 30/04/2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაკა მამფორია -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკატერინე ჭელიძე - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

სალომე ასათიანი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარ წულუკიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

მარინე ჩიტაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

მარიამ ჯვარიძე - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ნინო საღარაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

ლია ნეფარიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ნინო ჭიჭინაძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი